

თენგიზ ირაშვილი



BENJAMIN

ვალტერ ბენიამინი

ცხოვრება
მოღვაწეობა
აქტუალობა



თენგიზ ირემაძე

ვალტერ ბენიაშინი

**ცხოვრება
მოღვაწეობა
აქტუალობა**

**თბილისი
2008**

**ბრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტი**

**საელა ნაკათლის ფილოსოფიის ინსტიტუტი
ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის
ისტორიის განყოფილება**

**მონა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოსოფიის დეპარტამენტი**

რედაქტორი:

აკადემიკოსი გურამ თევზაძე

რეცენზენტები:

პროფესორი, დოქტორი გიორგი ბარამიძე

პროფესორი, დოქტორი მიხეილ გოგატიშვილი

პროფესორი, დოქტორი ლალი ზაქარაძე

© თენგიზ ირემაძე, 2008

პირველი ქართული გამოცემა, 2008

გამომცემლობა „ნეკერი“, 2008

ISBN 978-9941-404-20-7

სარჩევი

წინათქმა	5
შესავალი	11
თავი I. ვალტერ ბენიამინის ცხოვრება და მოღვაწეობა	13
§1. ვალტერ ბენიამინის ყრმობისა და განსწავლის წლები	15
§2. წარუმატებელი ჰაბილიტაცია	20
§3. ვალტერ ბენიამინი და ქალები	24
§4. მოგზაურობა საბჭოთა კავშირში	28
§5. სიცოცხლეში გამოქვეყნებული წიგნები	34
§6. პარიზი – „XIX საუკუნის დედაქალაქი“	38
§7. ფრანკფურტის სკოლა და ვალტერ ბენიამინი	41
თავი II. ვალტერ ბენიამინის სიცოცხლის დასასრული	47
§1. თვითმკვლელობა თუ მკვლელობა?	49
§2. ვალტერ ბენიამინის უკანასკნელი წერილი	51

§3. ბურუსით მოცული საქმე.....	53
თავი III. ვალტერ ბენიამინის	
აზროვნება და მისი აქტუალობა.....	57
§1. ენის ფილოსოფიიდან	
„გაშეშებულიობის დიალექტიკამდე“	59
§2. ტექნიკური რეპროდუცირებადობა	
და „აურა“	67
§3. ისტორიის ბენიამინისეული	
კონცეფცია (თეოლოგია,	
მესიანიზმი, პოლიტიკა)	71
დანართი	83
ვალტერ ბენიამინი:	
თეოლოგიურ-პოლიტიკური ფრაგმენტი	
(თარგმანი გერმანულიდან ქართულად)	85
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	89
ლიტერატურის სია	93
პირთა საძიებელი.....	103

წინათქმა

ვალტერ ბენიამინი და მისი მეტად საინტერესო შემოქმედება ნაკლებადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. დღემდე არ არსებობს ქართულენოვანი გამოკვლევა ებრაული წარმოშობის ამ დიდი გერმანელი მოაზროვნის შესახებ. ეს არცაა გასაკვირი: მისი ნაშრომები, თვით ევროპული აზროვნებისთვისაც კი, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ხდება აქტუალური.

კრიტიკული აზროვნების მდიდარი ტრადიციის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით, საქართველოში პირველი ნაბიჯები XXI საუკუნეში გადაიდგა! აქ სამი მნიშვნელოვანი საფეხური მინდა გამოვყო:

1. გურამ თევზაძემ თავის ნაშრომში „XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია“ (თბილისი, 2002) – პირველად საქართველოში – სამართლიანად გაუსვა ხაზი ვალტერ ბენიამინის დამსახურებას ფრანკფურტის სკო-

ლის წინაშე. ქართველი მკვლევარი მას თეოდორ ადორნოს კრიტიკული ფილოსოფიის მომამზადებლად მიიჩნევს. გარდა ამისა, გ. თევზაძე თავის ნაშრომში არაერთგზის მოიხსენიებს ბენიამინს სხვადასხვა კონტექსტში, მაგალითად, როცა ის ჰაინრიხ რიკერტის შესახებ საუბრობს და ა.შ.

- II. 2007 წლის 7-9 მაისს, ქ. თბილისში, გოეთეს ინსტიტუტის თბილისის წარმომადგენლობის ხელშეწყობით და სოსო დუმბაძის ინიციატივით, მე და ჩემს კოლეგებს (დევი დუმბაძესა და ქრისტოფ ჰესეს) შესაძლებლობა მოგვეცა, ვალტერ ბენიამინის 115 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ღონისძიებაში მიგველო აქტიური მონაწილეობა. ამ პროექტის ფარგლებში დევი დუმბაძემ ბენიამინის ორი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი თარგმნა (იხ. ლიტერატურის სია),

რომლის შესახებაც სპეციალური ვორკშოპებიც კი ჩავატარეთ. გარდა ამისა, წავიკითხეთ ვრცელი მოხსენებები ბენიამინის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტთა შესახებ. გოეთეს ინსტიტუტის თბილისის წარმომადგენლობის სავსე სასემინარო დარბაზი ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.

- III. 2007 წლის 21 მაისს, ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტისა და სავლეთის ფილოსოფიის ინსტიტუტის ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ერთობლივი ორგანიზებით, ვალტერ ბენიამინის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. ეს სამეცნიერო ღონისძიება ლალი ზაქარაძესა და გიორგი ხეოშვილთან ერთად მოვამზადე. აღსანიშნავია,

რომ ბათუმში ბენიამინის შემოქმედების იმ ასპექტებზეც გამახვილდა ყურადღება, რაზეც თბილისში საუბარი არ გვქონია.

წინამდებარე წიგნი პირველ ქართულენოვან გამოკვლევას წარმოადგენს ვალტერ ბენიამინის შესახებ. ასე რომ, ის ყოველი ახალი წამოწყებისთვის დამახასიათებელი ავ-კარგით იქნება დალდასმული! კმაყოფილი დავრჩები, თუკი ის ხელს შეუწყობს ამ დიდი მოაზროვნის შემოქმედების შესწავლას საქართველოში.

კვლევა-ძიების მიზნად დავისახე, ამ თვალსაჩინო მოღვაწის მიერ ტანჯვა-წამებით განვლილ გზას მივყოლოდი და მისი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები აღმენუსხა. თავდაპირველად ვალტერ ბენიამინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი დეტალები გამოვკვეთე, შემდეგ კი, მისი მრავალმხრივი აზროვნების აქტუალური მხარეების წარმოჩენა ვცადე. იმედი მაქვს, რომ დასახული ამოცანა მეტ-ნაკლებად დავძლიე! და თუკი ეს ასეა, მაშინ სათავე დაედო ვალტერ ბე-

ნიამინის მდიდარი შემოქმედების კვლევის საქმესაც საქართველოში.

აქვე მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძეს ამ წიგნის გამოცემაში განეული ფასდაუდებელი დახმარებისათვის.

თენგიზ ირემაძე

*ქ. თბილისი, 9 სექტემბერი,
2008 წელი*

შესავალი

კარლ მარქსი (1818-1883), 1841 წელს, თავისი დისერტაციის წინათქმაში, ეპიკურული, სტოიკური და სკეპტიკური ფილოსოფიის მნიშვნელობაზე საუბრობდა. ის, ამ კონტექსტში, ჰეგელის ფილოსოფიის ისტორიის დადებით და უარყოფით მხარეებზეც ამახვილებდა ყურადღებას. დიდი გერმანელი იდეალისტისადმი მარქსის პატივისცემის მიუხედავად, მარქსს „პრომეთე მიაჩნდა ფილოსოფიური კალენდრის კეთილშობილ წმინდანად და მარტვილად“¹. მარქსის ეს შენიშვნა უადგილო როდია. ფილოსოფიის ისტორია მრავალ მაგალითს იცნობს იმ მონამეებისა, რომლებმაც ცრუ ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლას შესწირეს თავიან-

¹ Doktordissertation von Karl Marx (1841). Eingeleitet und bearbeitet von G. Mende, unter Mitwirkung von E. G. Schmidt, Friedrich-Schiller-Universität Jena, o. J., S. 25.

თი სიცოცხლე და ადამიანთათვის გონების ცეცხლის გადაცემა სცადეს. ფილოსოფიამ ამგვარი მოაზროვნეების შემოქმედება უცილობლად უნდა გაიხსენოს, თუკი მას თავისი შინაგანი ძალის დაკარგვა არ სურს. კრიტიკული და მოუსვენარი გონება ყველგან და ყოველთვის საფრთხეშია, სადაც კი დროის მდინარებასთან შეგუება და მორგება სწრაფ წარმატებებს მოიძიებს. ფილოსოფიის ნუგეში კი, ამ შემთხვევაში, ის შეიძლება იყოს, რომ მან არა მარტო შესანიშნავი მოაზროვნეები, არამედ დიდი ადამიანური თვისებების მქონე ძლიერი პიროვნებები წარმოშვა, რომლებმაც თავისი დროის გამომწვევ ცდუნებებს გაუძლეს. ვალტერ ბენიამინიც ამგვარი თვისებებით შემკული ადამიანი იყო.

თავი I.
ვალტერ ბენიამინის
ცხოვრება და მოღვაწეობა

§1. ვალტერ ბენიამინის ყრმობისა და განსწავლის წლები

ვალტერ ბენედიქს შიონფლის ბენიამინის ცხოვრების დასაწყისი არაფრით იყო გამორჩეული. ის დაიბადა 1892 წლის 15 ივლისს, ქ. ბერლინში, წარმატებული ფინანსისტის ოჯახში და მისი ბავშვობაც წარმატებულ გარემოში წარიმართა. ბავშვობის წლების მოგონებებსა და შთაბეჭდილებებს ბენიამინმა წიგნიც კი მიუძღვნა შემდეგი სათაურით: „ბერლინური ბავშვობა ათას ცხრაას წელს“ (*Berliner Kindheit um Neunzehnhundert*). ეს ტექსტი 1932 წლიდან 1934 წლამდე ინერებოდა და მის ვაჟს, შტეფან რაფაელ ბენიამინს (1918-1972) ეძღვნება; შტეფანი ვალტერ ბენიამინისა და მისი მეუღლის, დორა კელნერის (1890-1964) ერთადერთი შვილი იყო. ისინი 1917 წელს დაქორწინდნენ და 13 წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ.

„ბერლინური ბავშვობა ათას ცხრაას

წელს“ თვით ბენიამინის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა: პირველად 1950 წელს გამოქვეყნდა „ზურკამპის“ ცნობილ გამომცემლობაში, თეოდორ ადორნოს (1903-1969) ძალისხმევის შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი უფრო მეტია, ვიდრე ერთი ბავშვის ბიოგრაფია².

ვალტერ ბენიამინის მშობლები წარმოშობით ებრაელები იყვნენ. მამამისი, ემილ ბენიამინი (1856-1926), ბანკირი და აქციონერი იყო, თავისი საქმიანობით გამდიდრდა და შემდეგ მომგებიან ცხოვრებას მიჰყო ხელი. 1891 წელს ბენიამინის მამამ პაულინე ელიზე შიონფლისი (1869-1930) შეირთო ცოლად. პატარა ვალტერი ქრისტიანულ კულტურასთან ასიმილირებულ ებრაულ ოჯახში იზრდებოდა: ისინი ებრაულ დღესასწაულებსაც ზეიმობდნენ და ქრისტიანულ აღდგომასაც; აღსანიშნავია, რომ ნამდვილ ებრაულ ტრადიციას ბენიამინი შედარებით გვიან ეზიარა,

² ამ ნაწარმოების პირვანდელი ვერსია – *Berliner Chronik* (1932) – ავტობიოგრაფიის ტრადიციული სტილით იყო შექმნილი (იხ. S. Kramer, *Walter Benjamin zur Einführung*, Hamburg, ²2004, S. 139).

კერძოდ კი, როგორც კულტურულ ფენომენს.

1912 წელს, გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ³, ბენიამინი სტუდენტურ ცხოვრებას იწყებს. ის უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში გადადის: ფრაიბურგიდან ბერლინში, აქედან მიუნხენში და, ბოლოს, ბერნში⁴; ბერნში მან, 1919 წელს, რიხარდ

³ ვალტერ ბენიამინს, ავადმყოფობის გამო, 1904 წელს, ორი წლით სკოლის დატოვება მოუხდა; ის ტიურინგენის მხარის ალსაზრდელთა თავშესაფარში იქნა გაგზავნილი. აქ 1903-1906 წწ. ასწავლიდა გუსტავ ვუნეკენი, რომელმაც ახალგაზრდა ბენიამინს ფილოსოფიისა და ლიტერატურისადმი მძაფრი ინტერესი გაუღვივა. მოგვიანებით, 1912-1914 წწ., ბენიამინი შეუერთდა სასკოლო რეფორმის მოძრაობას; ამ მოძრაობის მომამზადებელი სწორედ ვუნეკენი იყო, რომლის იდეების პროპაგანდასაც ჟურნალი „Der Anfang“ („დასაბამი“) ეწეოდა. ბენიამინი 1913 წელს აქტიურად თანამშრომლობდა ამ ჟურნალთან (იხ. S. Kramer, Walter Benjamin zur Einführung, S. 13-14).

⁴ 1914 წლის 8 აგვისტოს, თავი მოიკლა ბენიამინის ყრმობის მეგობარმა, ახალგაზრდა პოეტმა ქრისტოფ ფრიდრიხ ჰაინლემ ბენიამინმა ძალზე ტრაგიკულად განიცადა მე-

ჰერბერტის ხელმძღვანელობით, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია; დისერტაციის თემა ასეთი იყო: „ხელოვნების კრიტიკის ცნება გერმანულ რომანტიზმში“. ეს ნაშრომი, 1920 წელს, ბერლინში, არტურ შოლემის სტამბაში დაიბეჭდა. ამავე წელს, ის ა. ფრანკეს გამომცემლობაში, ჰერბერტის მეცნიერული სერიის – „ბერნის ახალი შრომები ფილოსოფიისა და მისი ისტორიის შესახებ“ – ფარგლებში გამოიცა. შემორჩენილია ბენიამინის საავტორო ეგზემპლარი ამ გამოკვლევისა, რომელშიც თვით ავტორის მიერ შეტანილია დამატებები, ჩანართები და კორექტურები; ისინი, სავარაუდოდ, ამ ნაშრომის მეორე გამოცემაში უნდა ყოფილიყო

გობრის სიკვდილი და სონეტიც კი მიუძღვნა მას; შემდეგ გულმოდგინედ ცდილობდა, ჰაინლეს შემორჩენილი მემკვიდრეობის გამომცემელი ეპოვნა, თუმცა მისი ეს მცდელობა ამაო გამოდგა; იხ. ს. დუმბაძე, გამომცემლის წინასიტყვაობა // ვ. ბენიამინი, ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა დ. დუმბაძემ, რედ. რ. ასათიანი და თ. ირემაძე, თბილისი, 2008, გვ. 9.

გათვალისწინებული.

პირველ მსოფლიო ომში ბენიამინის ნათესავები დაილუპნენ და ამან მასზე მძიმე კვალი დატოვა. თვითონ ბენიამინი ომისთვის უვარგისად იქნა მიჩნეული. ამ ომმა გერმანიაში ინფლაცია და ფულადი საშუალებების გაუფასურება გამოიწვია. ეს ვითარება შეეხო ბენიამინის ოჯახსაც, რის გამოც ის იძულებული გახდა, შვეიცარია (სადაც მას სამეცნიერო მუშაობა უნდა განეგრძო) დაეტოვებინა. არადა, შესაძლებლობა ჰქონდა – მიიღო კიდევ შემოთავაზება რიხარდ ჰერბერტცისგან – ჰაბილიტაცია სწორედ ბერნში დაესრულებინა. ჰაბილიტაციის გეგმა ასეთი იყო: ის შემეცნების თეორიის სფეროს განეკუთვნებოდა და გამოკვლევული უნდა ყოფილიყო სიტყვისა და ცნების (ენისა და ლოგოსის) პრობლემათა სპექტრი. მაგრამ ბენიამინის ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა – ისევ და ისევ ფინანსური სიდუხჭირის გამო. ბენიამინმა ბერნში ვერც დოცენტის ადგილი მიიღო და შინ, გერმანიაში დაბრუნდა. ამან მისი შემდგომი ბედიც გადაწყვიტა.

§2. ნარუმატებელი ჰაბილიტაცია

გერმანიაში ბენიამინს რამდენიმე ნარუმატებელი მცდელობა ჰქონდა. ჟურნალი, რომლის გამოცემაც სურდა და რომელიც პაულ კლეეს ერთ-ერთი ნახატის „ანგელუს ნოვუსის“ სახელწოდებით უნდა გამოსულიყო, არასდროს გამოსულა. მისი ჰაბილიტაცია (მეორე დისერტაცია), რომელიც აუცილებელი იყო საუნივერსიტეტო კარიერის გაგრძელებისა და პროფესორის წოდების მიღებისათვის, ეძღვნებოდა გერმანულ ტრაგედიას ბაროკოს ხანაში და უარყოფითად შეფასდა ფრანკფურტის უნივერსიტეტში. ჰანს კორნელიუსის 1925 წლის 7 ივლისის „რეფერატი“ ბენიამინის შრომის („გერმანული ტრაგედიის სანყისი“) შესახებ შეიძლება ითქვას, რომ გამანადგურებელი იყო⁵. რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ მან ამ

⁵ ჰანს კორნელიუსის რეცენზიის სრული ტექსტი იხ. Walter Benjamin 1892 – 1940. Eine Ausstellung des Theodor W. Adorno Archivs Frankfurt

ნაშრომიდან ვერაფერი გაიგო, რომ ავტორი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე იყენებს მრავალ სიტყვას, რომლებიც ან მათ ზოგად მნიშვნელობებს არიან მოკლებულნი, ან კიდევ იმ კონტექსტში, რომელშიც ისინი არიან მოხმობილნი, უსაზრისონი რჩებიან. გარდა ამისა, კორნელიუსი უარყოფდა ბენიამინის შრომის მნიშვნელობას ხელოვნებათმცოდნეობისთვის. რეცენზენტი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ მან, მას შემდეგ, რაც ამ ნაშრომის ხელოვნებათმცოდნეობითი ინტენცია ვერ გაიგო, თვითონ ავტორს მიმართა თხოვნით, მოკლედ აეხსნა მისთვის, თუ სად იყო მის შრომაში მსგავსი ინტენცია ან შინაარსი. კორნელიუსის აზრით, ბენიამინის მიერ გამოგზავნილი მიმოხილვა კვლავაც გაუგებარი დარჩა. საბოლოოდ, რეცენზენტი დაასკვნის, რომ ის შესაბამის ფაკულტეტს ვერ ურჩევს, მიიღოს ბენიამინის ეს ნაშრომი, როგორც ჰაბილიტაცია. შეფასება კი ასეთია:

am Main in Verbindung mit dem Deutschen Literaturarchiv Marbach am Neckar, bearbeitet von R. Tiedemann, Ch. Gödde und H. Lonitz, Marbacher Magazin 55/1990, Marbach am Neckar, ²1990, S. 72-73.

„მე არ შემიძლია დავფარო, რომ სხვა მხრივ მახვილგონიერი ავტორი (ბენიამინი), თავისი გაუგებარი გადმოცემის ფორმით, რაც იმის ნიშანია, რომ აქ საგნობრივ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, სტუდენტებს ამ სფეროში სათანადოდ ვერ განსწავლის“. ამ და სხვა მიზეზების გამო, ბენიამინს ჰაბილიტაცია უკან უნდა გაეტანა (ეს მას ურჩია კიდეც ფრანკფურტის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის დეკანმა, ჰანს შულტცმა, რომელმაც, თავის დროზე, 1925 წლის 27 მაისს, კორნელიუსს გადასცა სარეცენზიოდ ბენიამინის ეს ნაშრომი).

ჰაბილიტაციის წარუმატებლობა იმას ნიშნავდა, რომ აკადემიურ სფეროში ბენიამინი თავის ადგილს ვერ იპოვიდა. სიმართლე რომ ითქვას, საუნივერსიტეტო ცხოვრება მას არც ხიბლავდა. ცნობილია, რომ გერმანულ უნივერსიტეტებში მაშინ კარგი დრო არ იდგა. ცნობილია ისიც, რომ ბენიამინი, სტუდენტურ წლებში, ძალზე კრიტიკულად უყურებდა საუნივერსიტეტო ცხოვრებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკფურტში გატარებული დრო მისთვის უნაყოფო არ ყო-

ფილა: ბენიამინმა იქ სრულიად ახალგაზრ-
და ფილოსოფოსები: ზიგფრიდ კრაკაუერი
(1889-1966) და თეოდორ ადორნო გაიცნო.
შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთიერთობებმა
მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფრანკფურ-
ტის სკოლის თეორიულ პოზიციათა განსაზ-
ღვრაში.

§3. ვალტერ ბენიამინი და ქალები

1924 წელს ბენიამინმა გაიცნო ასია ლაცისი (1891-1979), ლატვიელი კომუნისტი რეჟისორი. მასთან ურთიერთობის შედეგად ბენიამინმა მარქსიზმის შესწავლა დაიწყო. „ლატვიელი ბოლშევიკი ქალი რიგიდან, რომელიც თეატრში თამაშობს და რეჟისორიცაა“, – ასე წერდა ის ერთ-ერთ წერილში ასია ლაცისის შესახებ თავის უახლოეს მეგობარს, გერშომ შოლემს (1897-1982). რამდენიმე კვირის შემდეგ კი, ბენიამინი ლაცისს ასე ახასიათებს: „ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი ქალი, ვინც კი ოდესმე გამიცნია“. ამ ნაცნობობის შედეგად ბენიამინისათვის არა მარტო განსხვავებული პოლიტიკური პოზიცია გახდა ხელშესახები, არამედ უცებ გაიხსნა მთელი სამყარო, რომლის შესახებაც მას მანამდე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ეს სამყარო მისთვის აღმოსავლეთ ევროპის გეოგრაფიული საზღვრებით არ

იფარგლებოდა, საიდანაც ეს ქალი შემოიჭრა მის ცხოვრებაში. აღმოჩნდა, რომ ახალი სამყარო უნდა გახსნილიყო იქაც, სადაც ბენიამინი უკვე იყო; უბრალოდ, სხვაგვარად უნდა დაენახა რალაც-რალაცები; მაგ., იგივე იტალია ტურისტის თვალით კი არ უნდა განეხილა, არამედ მის მცხოვრებთა დაძაბული ყოველდღიური ცხოვრება უნდა შეესწავლა. ამგვარი ხედვის შედეგია ბენიამინისა და ასია ლაცისის მიერ დაწერილი ნარკვევი – „ნეაპოლი“.

ლაცისი, რომელმაც რუსული ავანგარდის ხელოვნება (განსაკუთრებით კი, თეატრალური) კარგად იცოდა, გერმანიაში მაშინ ჯერ კიდევ დამწყებ ავტორთან, ბერთოლდ ბრეხტთან (1898-1956) თანამშრომლობდა. მოგვიანებით ბრეხტი ბენიამინისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებად იქცა, არა მარტო როგორც ავტორი, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც არატრადიციული აზროვნების უეჭველ უნარს ფლობდა⁶.

⁶ ბრეხტი კი, ბენიამინის შემოქმედების მიმართ, კრიტიკულად იყო განწყობილი და მხოლოდ მის ორ ნაშრომს – სტატიას „ედუარდ ფუქსი,

ასია ლაცისი ბენიამინისთვის – დორა კელ-ნერისა და იულა კონის შემდეგ – მესამე ქალი იყო, ვინაც მის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა. გერშომ შოლემის აზრით, ლაცისს ბენიამინზე ძლიერი ინტელექტუალური გავლენა ჰქონდა. მათი ურთიერთობა დაახლოებით 1936 წლამდე გაგრძელდა. შემორჩენილია ასია ლაცისის რამდენიმე წერილი ბენიამინისადმი, დამტვრეული გერმანულით დაწერილი, ხოლო ბენიამინის წერილები და ლექსები, რომლებიც ლაცისს ეძღვნებოდა, დაკარგულია. აი, ლაცისის ერთი წერილი (30 აგვისტო, 1936 წ.) ბენიამინისადმი ქალაქ კისლოვოდსკიდან: „ძვირფასო ვალტერ! ახლა მე სახლში ვბრუნდები მთაზე სეირნობიდან და სანოლზე შენი წერილი მხვდება. ის სწორედ ახლა წავიკითხე და სწრაფადვე გწერ პასუხს – ეს წერილი მე განსაკუთრებით მომეწონა – რადგან ის არადისციპლინირებული იყო. მე შენ მენატრები. ძალზე ძლიერ. ეს, ალბათ, ძალიან შუასაუკუნეობრივია. დიახ, ჩვენ მალე

შემგროვებელი და ისტორიკოსი“ და თეზისებს „ისტორიის ცნების შესახებ“ – სცნობდა; იხ. Walter Benjamin 1892 – 1940, S. 193.

კვლავ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს“. მაგრამ ეს შეხვედრა არ შემდგარა. ამაზე პასუხს ისევ ლაციისის მოგონებათა წიგნი გვანვდის: „მე იძულებული ვიყავი, ათი წელი ყაზახეთში გამეტარებინა“. არქიპელაგ გულაგიდან ლაცი-სი 1948 წელს დაბრუნდა და შემდეგ რიგასა და მოსკოვში ცხოვრობდა. ის, 1979 წელს, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბენიამინს აქვს ერთი ჩანაწერი სამოგ-ზაურო დღიურში, რომელიც კარგად გვიხა-სიათებს მის დამოკიდებულებას ზემოთ ნახ-სენები სამივე ქალის მიმართ: „მთლიანობაში ჩემმა სამმა დიდმა სიყვარულის თავგადასა-ვალმა განსაზღვრა ჩემი ცხოვრება. [...] მე სამი განსხვავებული ქალი და, შესაბამისად, სამი განსხვავებული მამაკაცი გავიცანი (შე-ვიცანი) ჩემში. დაიწეროს ჩემი ცხოვრების ისტორია, ეს იმას ნიშნავს, რომ მის აღმასვ-ლასა და დაღმასვლას ეს სამი მამაკაცი და მათ შორის კომპრომისი განსაზღვრავდა; შეიძლებოდა ასეც გვეთქვა: **ტრიუმვირატი**, რომელიც ახლა ჩემს ცხოვრებას ასახავს“⁷.

⁷ Walter Benjamin 1892 – 1940, S. 145.

§4. მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

1925 წელს ბენიამინი ქ. რიგაში გაემგზავრა. იქ ასია ლაციისი იატაკქვეშეთის თეატრს ხელმძღვანელობდა. 1926-1927 წლის ზამთარში ბენიამინი მოსკოვში ჩავიდა. რუსეთში ვიზიტისათვის მას საქმიანი საბაბი ჰქონდა: „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ რედაქციისაგან შეკვეთა მიიღო, დაენერა სტატია გოეთეს შესახებ. ბენიამინს ცოტა ხნის წინ დანერილი ჰქონდა გამოკვლევა „*Goethes Wahlverwandschaften*“, რომელიც „იმანენტური კრიტიკის“ სულით იყო გამსჭვალული. ამჯერად კი, ბენიამინი პოეტის პიროვნებისა და შემოქმედების მატერიალისტურ (მარქსისტულ) ინტერპრეტაციას შეეცადა. ამის შედეგი აღმოჩნდა საკმაოდ უცნაური ესეი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გამოყენებული ენციკლოპედიის პუბლიკაციისათვის. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მესვეურებმა ბენიამინის

სტატიის გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს. საქმე ამ ნაშრომის განსაკუთრებულ გამბედაობაში კი არ იყო, არამედ მასში მრავალი სწორხაზოვანი ინტერპრეტაცია გვხვდებოდა; გვხვდებოდა ასევე ბოლომდე დაუმუშავებელი ადგილები, მაგრამ ამ ნაშრომში იყო კარგი მიგნებებიც. ბენიამინის უპირატესობაცა და ოსტატობაც ხომ ის იყო, რომ ის, ერთი შეხედვით, მცირე, უბრალო, წვრილმან დეტალებში ძალზე სერიოზული პრობლემების მოულოდნელ ახსნა-გაგებას გვთავაზობდა.

„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ერთ-ერთი განყოფილების პასუხისმგებელი რედაქტორის, ა. ლუნაჩარსკის მიხედვით, ბენიამინის სტატია გამოქვეყნებისთვის არ იყო მზად, „მისი არაენციკლოპედიური ხასიათის გამო“. ლუნაჩარსკის აზრით, მართალია, ეს სტატია ძალიან ნიჭიერადაა შესრულებული და, ხშირად, საოცრად ზუსტ შენიშვნებსაც შეიცავს, მაგრამ მისგან დასკვნების გამოტანა შეუძლებელია: ის ვერც გოეთეს ადგილის განმსაზღვრელია ევროპულ ლიტერატურაში და ვერც მისი მნიშვნელობის მაჩვენებელი.

გარდა ამისა, ბენიამინის სტატია გოეთეს შესახებ ალაგ-ალაგ საკამათოცაა.

მოსკოვი ბენიამინისთვის „ლოზუნგების ქვეყანა“ აღმოჩნდა და მისი ფრთხილი ნარკვევი „მოსკოვი“, უფრო მეტად, მის ზოგიერთ შთაბეჭდილებას „მაღავს“. ამ ნარკვევში მისი ავტორის განცდაც იგრძნობა, რომ ის ამ ქალაქში ადგილს ვერ მონახავს; თუმცა, როცა სამოგზაუროდ გაემგზავრა, არ გამორიცხავდა, რომ ამ ქვეყანაში (საბჭოთა კავშირში) გადასახლდებოდა, ქვეყანაში, რომელიც ახალი სამყაროს აგებას ისახავდა მიზნად.

აღსანიშნავია, რომ ბენიამინმა მარტინ ბუბერისგან (1878-1965) მიიღო შეკვეთა, ჟურნალისათვის „Die Kreatur“ („ქმნილება“) დაენერა ვრცელი სტატია მოსკოვის შესახებ. ნარკვევი „მოსკოვი“ სწორედ ამ შეკვეთის შედეგად შეიქმნა და ის გამოქვეყნდა კიდევ ამ ჟურნალის 1927 წლის პირველ ნომერში.

ვალტერ ბენიამინს იმედი ჰქონდა, რომ მოსკოვში ლიტერატურულ წრეებთან დაამყარებდა მჭიდრო ურთიერთობას; ეს მას შესაძლებლობას მისცემდა, პუბლიკაციის ახალი საშუალებები ეპოვნა. ბენიამინი რუ-

სულ ენას ვერ ფლობდა და მას საბჭოეთში მოგზაურობისას ეხმარებოდნენ ასია ლაცისი და ბერნარდ რაიხი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მოსკოვში ბენიამინის მგზავრობის მთავარი მოტივი სწორედ ლაცისის მონახულება იყო.

ნარკვევში „მოსკოვი“ ბენიამინი კარგად აღწერს საბჭოეთის დედაქალაქის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროსა და სახასიათო ნიშანს; აქ არა მარტო დიდი ქუჩების, ადგილებისა და მუზეუმების შთამბეჭდავი სურათებია მოცემული, არამედ, მაგალითად, ძველმანების მალაზიებიცაა სათანადოდ დახასიათებული. ბენიამინს, როგორც ცნობილ შემგროვებელს, განსაკუთრებით იზიდავდა დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები და სათამაშოები. ამის შესახებაც კარგად მოგვითხრობს თავის ნარკვევში.

დასავლეთ ევროპაში დაბრუნებული ბენიამინი თავისუფალი ლიტერატორის ცხოვრებით ცხოვრობს; ის წერს სტატიებს პრესისათვის, განაგრძობს მთარგმნელობით

საქმიანობას (უკვე 1923 წელს გამოქვეყნდა ბოდლერის ლექსების მისეული თარგმანი, შემდეგ კი მუშაობა დაიწყო პრუსტიის რომანების თარგმანზე)⁸, დიდი გატაცებით გამოდის რადიოში (ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ დროის სერიოზულ ავტორთა შორის, რომლებიც ადეკვატურად აფასებდნენ ამ ახალი საინფორმაციო ტექნიკის შესაძლებლობებს).

⁸ ალსანიშნავია, რომ ბოდლერის ლექსების თარგმნა ბენიამინმა 1914 წელს დაიწყო. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან კი ბენიამინი, ფრანც ჰესელთან ერთად, პრუსტიის ნაწარმოებთა თარგმნას იწყებს. ეს თარგმანები „როვოლტის“ გამომცემლობამ 1927 წ. და 1930 წ. გამოსცა. ბოდლერის ლექსების თარგმანის 1923 წლის გამოცემას კი ბენიამინმა დაურთო მეტად საინტერესო, გაბედული და ვრცელი წინათქმა სათაურით „მთარგმნელის ამოცანა“. აქ ბენიამინი საუბრობს თარგმანის შესაძლებლობის შესახებ საერთოდ; მისი აზრით, განსხვავებულ ენათა ურთიერთკავშირი არის თარგმანის წინაპირობა; თარგმანი არა მარტო რეცეფციულ, არამედ პროდუქტიულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ხშირად თარგმნილ ტექსტში რეალიზდება ის, რაც ორიგინალში მხოლოდ პოტენციური სახით არის მოცემული. ამ საკითხის შესახებ იხ. S. Kramer, Walter Benjamin zur Einführung, S. 22-23.

აკადემიურ კარიერას ბენიამინი საბოლოოდ გამოეთხოვა; ამაზე ზეგავლენა ვერც გერშომ შოლემის მონოდებამ მოახდინა, რომელიც პალესტინაში იყო და ბენიამინს სთხოვდა, მას შეერთებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამით ბენიამინს ხელახლა მიეცემოდა შანსი საუნივერსიტეტო კარიერის დასაწყებად. ბენიამინი, მართალია, კარგა ხანს ყოყმანობდა, მაგრამ შოლემის მონოდება ბოლოს მაინც უშედეგო აღმოჩნდა.

§5. სიცოცხლეში გამოქვეყნებული ნიგნები

1928 წელს, ცნობილმა ბერლინურმა გამომცემლობა „როვოლტმა“ სწრაფად გამოსცა ბენიამინის ორი ნიგნი: „გერმანული ტრაგედიის სანყისი“ (უარყოფილი დისერტაცია, ანუ ჰაბილიტაცია) და „ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა“. ამან ბენიამინის ცხოვრებაში, რამდენიმე წლით, გარკვეული გარდატეხა შეიტანა. „ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა“ ფრაგმენტების, შენიშვნების, განაზრებების თავისუფალი კრებულია. მასში ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანი დეტალები მოხმობილია ისტორიისა და კულტურის თეორიის ფართო პერსპექტივების გასახსნელად. ეს ნაწარმოები აზრის ფორმის თავისუფალი ძიების შედეგია. ეს აზრები დროის კითხვებზე აზროვნების უშუალო რეაქციად შეიძლება აღვიქვათ. ამ ნაშრომს ასეთი მიძღვნა აქვს წამძღვარებული: „ამ ქუჩას ეწოდება ასია ლაცისის ქუჩა, მას შემდეგ, რაც ის

მან, როგორც ინჟინერმა, ავტორში გაიყვანა“⁹. ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ბერლინის ახალ გზაზე ხეტიალი ბენიამინს მარტოს მოუხდებოდა, თანამგზავრის გარეშე, რომლის ზეგავლენასაც ძალიან აფასებდა. ბენიამინისა და ლაცისის ურთიერთობა ბოლომდე გამოცანად დარჩა მეგობრებისა და ნაცნობებისათვის – ისინი საკმაოდ განსხვავებული ადამიანები იყვნენ.

1931 წლის აპრილიდან 1932 წლის მაისამდე ბენიამინმა „Frankfurter Zeitung“-ში („ფრანკფურტის გაზეთში“), წერილების სერიის სახით, გამოაქვეყნა 27 კომენტარებული წერილი, რომელიც ერთ საუკუნეს (1783-1883 წწ.) მოიცავდა. ბენიამინი ამ წერილებს არარეგულარულად აქვეყნებდა ფსევდონიმით „დეტლეფ ჰოლცი“. წერილების ეს სერია 1936 წელს შვეიცარიაში წიგნის სახით გამოვიდა და მას ეწოდა: „გერმანელი ადამიანები. წერილების სერია. ამონაკრები და შესავალი დეტლეფ ჰოლცისა“ (ლუცერნი, 1936 წ., 116 გვ.).

⁹ იხ. W. Benjamin, Einbahnstraße, in: W. Benjamin, Gesammelte Schriften, Bd. IV, hrsg. von T. Rexroth, Frankfurt a. M., 1991, S. 83-148.

ბენიამინმა გადასახლებაში მხოლოდ ეს ერთადერთი წიგნი გამოსცა. ამ წიგნის სახით ჩვენს თვალწინ ცოცხლდება გერმანული გონითი ისტორიის უაღრესად შთამბეჭდავი პერიოდი. ბენიამინმა კომენტარები დაურთო გეორგ ქრისტოფ ლიხტენბერგის, ფრიდრიხ ჰიოლდერლინის, კლემენს ბრენტანოს, გოეთეს, ძმების, ვილჰელმ და იაკობ გრიმების, გოტფრიდ კელერის, ფრანც ოფერბეკის, ფრიდრიხ შლეგელის და სხვათა წერილებს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ბენიამინი განმარტავს იმანუელ კანტისადმი, ფრიდრიხ შლაიერმახერისადმი, ფრიდრიხ ნიცშესადმი და სხვა გამოჩენილი მოაზროვნეებისადმი მიწერილ წერილებსაც¹⁰.

ბენიამინის აზრით, ეს წერილები გერმანიის წარსულისა და პოლიტიკური აწმყოს ლიტერატურულ დოკუმენტებს წარმოადგენდა. მათ – შემგროვებლის, ანუ ბენიამინის გარეშე – გერმანული სულის შესახებ უნდა

¹⁰ ამ წერილების შესახებ იხ. *Deutsche Menschen. Eine Folge von Briefen. Auswahl und Einleitungen von Detlef Holz*, in: *W. Benjamin, Gesammelte Schriften*, Bd. IV, hrsg. von T. Rexroth, Frankfurt a. M., 1991, S. 149-233.

ესაუბრათ. მიუხედავად სათაურის ნაციონალურ-პათეტიკური შეფერილობისა, გერმომ შოლემის ეჭვი გამართლდა და ცენზურამ წერილთა ამ კრებულის ოპოზიციური სულისკვეთება ამოიცნო; თუმცა ეს წიგნი ისე კარგად აღმოჩნდა გარეგნულად შენიღბული, რომ ის მხოლოდ მეორე გამოცემის შემდეგ¹¹, 1938 წელს, აიკრძალა.

¹¹ ამ წიგნის მეორე გამოცემა 1937 წელს შესრულდა; იხ. W. Benjamin, *Gesammelte Schriften*, Bd. IV, S. 951.

§6. პარიზი – „XIX საუკუნის დედაქალაქი“

ვალტერ ბენიამინისთვის განსაკუთრებით სტუმართმოყვარე პარიზი აღმოჩნდა. ის პარიზს ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ესტუმრა, ხოლო XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან პარიზი ბენიამინის მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს ადგილად იქცა. ის აქ ერთი ახალი ნაშრომის – „პარიზი, XIX საუკუნის დედაქალაქი“ – წერას იწყებს, რომელსაც შემდეგ „ნაშრომი პასაჟების შესახებ“ ეწოდა. ბენიამინმა გადაწყვიტა, „XIX საუკუნის დედაქალაქის“ განვითარებისთვის მისი ყოფისა და კულტურის დეტალების ანალიზის მეშვეობით მიედევნებინა თვალი. ის ამ ნაშრომისთვის მასალებს მთელი ცხოვრება აგროვებდა.

„ნაშრომი პასაჟების შესახებ“ ბენიამინის გარდაცვალების შემდეგ, 1982 წელს გამოქვეყნებული ფრაგმენტების კრებულია; ეს ფრაგმენტები ბენიამინის ცხოვრების სხვა-

დასხვა ფაზაში იქმნებოდა: ის უნდა ყოფილიყო XX საუკუნიდან დანახული XIX საუკუნის მატერიალური ისტორიის ფილოსოფია, ავტორს მისი დასრულება რომ დასცლოდა.

ბენიამინის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი გადასახლებაში სწორედ პარიზი გახლდათ. ხანდახან ის სან რემოში ცხოვრობდა – თავის გაყრილ მეუღლესთან, ხან კიდევ – დანიაში, თავის მეგობართან – ბერთოლდ ბრეხტთან. გადასახლებაში ის დიდ ფინანსურ გასაჭირს განიცდიდა. თუმცა უმთავრესი მაინც ის იყო, რომ ბენიამინს აქ ის ინტელექტუალური საუბრები და დისკუსიები აკლდა, ადრე მეგობრებთან რომ ჰქონდა. სწორედ ამან უბიძგა მას, წერილები მიეწერა მეგობრებისთვის, სადაც ხშირად გვხვდება სიტყვა „მარტოობა“. ახლა ამ „მარტოობას“ ვერ შველოდა ვერც ეს წერილები და ვერც მისი იშვიათი სტუმრობა ბერთოლდ ბრეხტთან, ან კიდევ თავის ოჯახთან – სან რემოში. 1933 წლის 20 ოქტომბერს ბენიამინი წერილს სწერს კიტი მარქს-შტაინშნაიდერს. ამ წერილში ის ჯერ თავის ავადმყოფობაზე და ფიზიკურ უძლურებაზე საუბრობს,

შემდეგ კი დასძენს: „მას, რაც აქ (პარიზში – თ.ი.) ებრაელთა მიმართ ხდება, შეიძლება დაუდევარი ქველმოქმედება ვუნოდოთ. [...] მე გერმანელების დანახვას ვერიდები, მირჩევნია ფრანგებს ვესაუბრო, რომლებსაც, მართალია, რაიმეს გაკეთება არ შეუძლიათ ან არცაა სურთ, მაგრამ ის კი იციან, რომ სხვას მათი ბედისწერა არ მოუთხრონ“.

მარტოობისა და ებრაელთა ბედის შესახებ ბერთოლდ ბრეხტიც წუხდა და თავის სატკივარს 1940 წლის 11 იანვარს გერშომ შოლემს უზიარებდა: „მარტოობა, რომელშიც მე ვიმყოფები, დროის გარემოებათა გამო, კიდევ უფრო გამძაფრდა. გონების ის ნარჩენები, რომლებიც ებრაელებს, მიუხედავად იმისა, რაც მათ განიცადეს, მაინც შერჩათ, მოდუნებულია. მათი რიცხვი, ვინც ამქვეყნად თავისთავს ჯერ კიდევ პოულობს, სულ უფრო მცირდება“.

§7. ფრანკფურტის სკოლა და ვალტერ ბენიამინი

XX საუკუნის 30-იან წლებამდე ბენიამინს შესაძლებლობა ჰქონდა, ფსევდონიმით გამოექვეყნებინა თავისი შრომები გერმანიაში. მიუხედავად ამისა, მისი გამოცემები შემთხვევით პუბლიკაციათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. გადასახლებაში მისი ერთადერთი შემოსავლის წყარო იყო „სოციალური კვლევის ჟურნალი“ (სოციალური კვლევის ინსტიტუტის პუბლიკაციის მთავარი ორგანო). 1933 წელს, ეს ინსტიტუტი ფრანკფურტიდან ჯერ ჟენევაში გაიხიზნა, იქიდან კი, ნიუ იორკში. ამ ჟურნალის გამომცემელთან, მაქს ჰორკჰაიმერთან (1895-1973) ბენიამინს ახლო ურთიერთობა ჰქონდა; ფინანსურადაც უშუალოდ მასზე იყო დამოკიდებული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სოციალური კვლევის ჟურნალში“ ბენიამინის არცერთი სტატია არ გამოქვეყნებულა რეცენზიის გა-

რეშე. სოციალური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელი გახლდათ, აგრეთვე, ბენიამინის მესაიდუმლე და მეგობარი თეოდორ ადორნო¹². ადორნოსა და ჰორკჰაიმერის ინიციატივის მიუხედავად, ბენიამინმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლება ვერ მოახერხა.

სოციალური კვლევის ინსტიტუტი დაარსდა 1923 წელს, მაინის ფრანკფურტში. ამ საქმის ინიციატორი იყო ფელიქს ვაილი, არგენტინელი შეძლებული ვაჭრის შვილი, რომელმაც იმისათვის გაიღო საჭირო თანხა, რომ ყველა პარტიისგან დამოუკიდებელი კვლევითი დაწესებულება შეექმნა, რომელიც მარქსისტული თეორიით, მუშათა მოძრაობის ისტორიითა და ანტისემიტიზმის პრობლემებით უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. ფორმალურად სოციალური კვლევის

¹² ადორნოსა და ბენიამინის სულიერ სიახლოვეზე სწორად მიუთითებს გ. თევზაძე; იხ. გ. თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 2002, გვ. 198.

ინსტიტუტი ფრანკფურტის უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილი იყო. ნიშანდობლივია, რომ ეს კვლევითი დაწესებულება შემდეგში სწორედ ფრანკფურტის სკოლის სახელით გახდა ცნობილი.

ფრანკფურტის სოციალური კვლევის ინსტიტუტს მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდა მოსკოვის მარქს-ენგელსის ინსტიტუტთან, რომელსაც მაშინ დავიდ რიაზანოვი ხელმძღვანელობდა. ამიტომ ინსტიტუტის იმდროინდელი გამოკვლევები ისეთი კრიტიკული პათოსით ვერ იქნებოდა გამორჩეული, როგორც მისი წევრების გვიანდელი ნაშრომები.

აღსანიშნავია, რომ ფრანკფურტის სკოლის ნამდვილი სახე მაქს ჰორკჰაიმერის დირექტორობის პერიოდში გამოიკვეთა: ის ამ ინსტიტუტს 1931 წელს ჩაუდგა სათავეში. სწორედ ამ დროს გახდა კრიტიკული თეორია ინსტიტუტის საკვლევო პროგრამა და მეთოდი. ჰორკჰაიმერმა მიზნად დაისახა, ინსტიტუტს ინტერდისციპლინარული კვლევები ეწარმოებინა. მასში სხვადასხვა საზოგადოებრივი დარგის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული. ინსტიტუტის წევრები

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ შემდეგი სფეროების მიმართ: ეკონომიკა, სოციოლოგია, ფილოსოფია, ესთეტიკა, ფსიქოანალიზი. ჰორკჰაიმერის გარდა, სოციალური კვლევის ინსტიტუტის თავდაპირველ სახეს ქმნიდნენ: ფრიდრიხ პოლოკი (1894-1970), ლეო ლიოვენთალი (1900-1993), ჰერბერტ მარკუზე (1898-1979), ერიხ ფრომი (1900-1980) და თეოდორ ადორნო¹³. ვალტერ ბენიამინი, მართალია, ინსტიტუტის ე.წ. „შიდაწრეს“ არ ეკუთვნოდა, მაგრამ „სოციალური კვლევის ჟურნალში“ გამოქვეყნებული სტატიებისთვის გასამრჯელოს იღებდა. ასე რომ, მისი შემოქმედებაც ამ ინსტიტუტის მდიდარი ისტორიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ¹⁴.

¹³ ფრანკფურტის სკოლის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთა კონცეფციები ვრცლად და საფუძვლიანად აქვს განხილული გ. თევზაძეს თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში; იხ. გ. თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, გვ. 187-261.

¹⁴ ვალტერ ბენიამინისა და „სოციალური კვლევის ინსტიტუტის“ ურთიერთობის შესახებ ვრცლად იხ. Ch. Gödde, H. Lonitz, Das Institut für Sozialforschung / Gretel Adorno, Adorno und

ზემოთქმულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ვალტერ ბენიამინის დამოკიდებულება სოციალური კვლევის ინსტიტუტის მიმართ მაინც ორსახოვანი დარჩა. ამას, ალბათ, ხელი იმანაც შეუწყო, რომ ბენიამინი არ განსწავლულა ფრანკფურტის უნივერსიტეტში. როგორც ცნობილია, თავის უპირველეს მასწავლებლად მას ნეოკანტიანელი ჰაინრიხ რიკერტი მიაჩნდა. ჰეგელის ფილოსოფიის მიმართ ინტერესი ბენიამინს არასოდეს გასჩენია; უფრო მეტიც, მისი „დიალექტიკა გაშეშებულიობის მომენტში“ სწორედ დიალექტიკის ჰეგელისეული ვერსიის წინააღმდეგაა მიმართული. და რაც მთავარია, მარქსისა და მარქსიზმისადმი ვალტერ ბენიამინს სხვაგვარი მიმართება ჰქონდა, ვიდრე მის ფრანკფურტულ მეგობრებს. ამას თეოდორ ადორნოც კარგად გრძნობდა, როცა ბენიამინს მარქსის „კაპიტალის“ მნიშვნელოვანი თავების დაწვრილებითი შესწავლისა და ანალიზისკენ მოუწოდებდა. ბენიამინის მიერ

Horkheimer, in: B. Lindner (Hrsg.), Benjamin-Handbuch. Leben – Werk – Wirkung, Stuttgart – Weimar, 2006, S. 92-106.

განხილული მარქსის თეორია „თეოლოგი-
ზებულია“ და მესიანისტური აზროვნების
წესის მნიშვნელოვანი ელემენტებითაცაა
შეზავებული. ბენიამინის შემოქმედების ეს
თავისებურება ცხადი გახდება, თუკი გა-
ვიხსენებთ მის მძლავრ მიდრეკილებას იუ-
დაური მისტიკის მდიდარი ტრადიციისადმი
და საერთოდ თეოლოგიურ-მეტაფიზიკური
აზროვნებისადმი.

თავი II.
ვალტერ ბენიამინის
სიცოცხლის დასასრული

§1. თვითმკვლელობა თუ მკვლელობა?

1940 წლის ივნისის შუა რიცხვებში, ბენიამინი, თავის დასთან, დორასთან ერთად, საფრანგეთში, კერძოდ კი, მარსელში მიემგზავრება, სადაც მას ჰორაკჰაიმერისა და ადორნოს მიერ ნაშოვნი (ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებელი) ვიზის გამოტანა შეეძლო. დაგეგმილი მარშრუტი ესპანეთიდან პორტუგალიაში, იქიდან კი, გემით ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაიყვანდა ბენიამინს. ამ დროისთვის პარიზიდან გაქცეულმა მთავრობამ გერმანია-სთან ზავი დადო და ვალდებულება აიღო, რომ ემიგრანტებს გერმანიაში გააძევებდა და მათ სხვაგან გასამგზავრებელ ვიზებს არ მისცემდა. ამ პირობებში ვალტერ ბენიამინმა გადაწყვიტა არალეგალურად გადაეკვეთა საზღვარი და 1940 წლის 26 სექტემბერს, ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, გზას დაადგა, რათა პირენეების გა-

ვლით ესპანეთში გადასულიყო. ესპანეთის საზღვარზე, კატალონიის პატარა ქალაქ პორტ ბუში მისულმა ჯგუფმა გაიგო, რომ აქამდე მოქმედი სატრანზიტო ვიზა მთავრობის განკარგულებით ძალადაკარგული გახდა და საფრანგეთიდან წამოსული ყველა ლტოლვილი უკან უნდა დაებრუნებინათ. ათწლეულების განმავლობაში ითვლებოდა, რომ ვალტერ ბენიამინს ამ ცნობამ უბიძგა მორფიუმის დიდი დოზა მიეღო, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია; ბოლო წლებში გაისმა კრიტიკული ხმებიც, რომლებიც ბენიამინის „თვითმკვლელობის თეზას“ ცალსახად მისაღებად არ თვლიან. ქვემოთ მე ბენიამინის გარდაცვალების ორსავე – თვითმკვლელობისა და მკვლელობის – ვერსიას განვიხილავ.

§2. ვალტერ ბენიამინის უკანასკნელი წერილი

ვერსია I. ვალტერ ბენიამინმა თავი მოიკლა. ეს ვერსია ეფუძნება ვალტერ ბენიამინის გამოსამშვიდობებელ წერილს; ეს წერილი იმ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა შემოინახა, ვისთან ერთადაც ბენიამინი ესპანეთის საზღვრის გადალახვას ცდილობდა. ამ ვერსიის მიხედვით, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ბენიამინმა ჰენი გურლანდს გადასცა გამოსათხოვარი წერილი თეოდორ ადორნოსადმი. გასაგები მიზეზების გამო, გურლანდი იძულებული გახდა, წაკითხვის შემდეგ, ეს წერილი გაენადგურებინა. მოგვიანებით მან ამ წერილის შინაარსი მეხსიერებაში აღიდგინა; წერილის შინაარსი ამგვარი სახის უნდა ყოფილიყო: „ამ გამოუვალ მდგომარეობაში, სხვა გზა არ დამრჩენია, გარდა იმისა, რომ სიცოცხლე დავასრულო. ის დასრულდება პირენეების პატარა სოფელში, სადაც მე არავინ მიცნობს. მე გთხოვთ თქვენ, რომ ეს

ჩემი აზრები ჩემს მეგობარ ადორნოს გადასცეთ და მას აუხსნათ ის მდგომარეობა, რომელშიც მე ვიმყოფებოდი. საკმარისი დრო არ მრჩება იმისთვის, რომ ყველა ის წერილი დავწერო, რომელსაც სიამოვნებით დავწერდი“¹⁵. აი, ასე სრულდება ის წერილი, რომელიც ვალტერ ბენიამინმა ჰენი გურლანდს გადასცა.

¹⁵ ვალტერ ბენიამინის სიცოცხლის ბოლო დღეების შესახებ იხ. Walter Benjamin 1892 – 1940, S. 309-315.

§3. ბურუსით მოცული საქმე

ვერსია II. ვალტერ ბენიამინი მოკლეს. ერთმა დოკუმენტურმა ფილმმა, რომლის პრემიერაც 2005 წლის შემოდგომაზე ბარსელონაში შედგა, ***ექვევეშ დააყენა ბენიამინის თვითმკვლელობის ვერსია.*** არგენტინულ-ებრაული წარმოშობის რეჟისორმა დავიდ მაუასმა (David Mauas), თავის ფილმში „ვინ მოკლა ვალტერ ბენიამინი?“, განიზრახა ბენიამინის შემოქმედების გერმანელ, ესპანელ, ფრანგ და ებრაელ მკვლევრებთან ესაუბრა ბენიამინის გარდაცვალების შესახებ. რეჟისორი თავისი კამერით პორტ ბუს ქუჩებში დაჟინებით ხეტილობს და საიმედო დოკუმენტის პოვნას ცდილობს. თავისი ჯიუტი კითხვების წყალობით, რეჟისორი ბენიამინის ინტერნაციონალური კვლევისთვის უცნობ დეტალებს აღმოაჩენს. ამ ფილმის მიხედვით, ბენიამინის სიკვდილის მიზეზი შემდეგი რამ უნდა ყოფილიყო: საზღვრის გადაკვეთა

ლტოლვილთა ჯგუფმა ფრანკოს მიერ გამო-
შვებული კანონის გამო ვერ შეძლო. ამიტომ
ბენიამინი იძულებული გახდა პორტ ბუს
ერთ-ერთ პანსიონში მოთავსებულიყო. 1940
წლის პორტ ბუ კრაზანათა ბუდე იყო. პან-
სიონის მესაკუთრე, მეორე მსოფლიო ომის
შემდეგ, ვენესუელაში გადასახლდა, რადგან
საფრანგეთის მთავრობა მის გადაცემას მოი-
თხოვდა; ამის მიზეზი ის იყო, რომ იგი ნა-
ციონალ-სოციალისტებთან თანამშრომლობ-
და. გესტაპოს (საიდუმლო პოლიციას) თავისი
ადგილობრივი ბიურო ჰქონდა პორტ ბუში.
ექიმი, რომელმაც ბენიამინის სიკვდილის სა-
ბუთი შეადგინა, ბენიამინის გარდაცვალების
დღეს, სავარაუდოდ, პორტ ბუში საერთოდ
არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ბენია-
მინს ურთიერთობა ჰქონდა სხვა ექიმთან,
ვინც ადგილობრივი, ანუ ესპანეთის ფაში-
სტური პარტიის ხელმძღვანელი იყო. სასუ-
ლიერო პირი, რომელმაც კათოლიკური რი-
ტუალისთვის უჩვეულოდ სწრაფად დართო
ნება დაეკრძალათ ბენიამინი, კომუნისტების
ცნობილი მტერი იყო. ეკლესიის წიგნში ჩანე-
რილი შენიშვნა და მისი სიკვდილის შესახებ

შემდგარი ოფიციალური სერტიფიკატი გარდაცვალების სხვადასხვა ვერსიებზე მიანიშნებს. ოფიციალურმა მოსამართლემ გვიან, ერთ-ერთ კონფიდენციალურ საუბარში განაცხადა, რომ ის აიძულეს, ცხედარი სწრაფად გადაეცა.

სასამართლოს ერთ ექიმს, რომლის ინტერვიუც ამ ფილმშია მოცემული, არარეალურად მიაჩნია ის, რომ ბენიამინს, მორფიუმის სასიკვდილო დოზის მიღების შემდეგ, საუბრები გაემართა ჰენი გურლანდთან, მითუმეტეს, წერილის ტექსტი ეკარნახა მისთვის. ფილმის რეჟისორის აზრით, ბენიამინის შემოქმედების ესპანელმა მკვლევრებმა უკვე დიდი ხანია იცოდნენ, რომ ბენიამინის გარდაცვალების ისტორიაში რალაც-რალაცეები ერთმანეთს არ თანხვდება. ამის შესახებ მათ სტატიებიც კი გამოაქვეყნეს. სხვა ქვეყნის მკვლევრები კი ყურადღებას არ აქცევდნენ მისი სიკვდილის განსხვავებულ წყაროებს. ის ფაქტიც კი, რომ ბენიამინის გამოსამშვიდობებელი წერილის მხოლოდ ასლი არსებობდა და არა ორიგინალი, მათ სათანადო ყურადღების მიღმა დატოვეს. გარდა ამისა,

ხელიდან იქნა გაშვებული უნიკალური შანსი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული ჰენი გურლანდი დაეკითხათ, რათა ნათელი მოჰფენოდა თუნდაც მის ნაწილობრივ წინააღმდეგობრივ გამონათქვამებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ფილმმა სამართლიანად დასვა კითხვა იმის შესახებ, მართლაც თავი მოიკლა ვალტერ ბენიამინმა, თუ ის მოკლეს. უნდა ითქვას, რომ მისი სიცოცხლის ბოლო დღეები და წუთები კვლავ ბურუსით მოცული რჩება.

თავი III.
ვალტარ გენიაშინის აზროვნება
და მისი აქტუალობა

§1. ენის ფილოსოფიიდან „გაშეშებულობის დიალექტიკამდე“

ვალტერ ბენიამინმა, ფილოსოფიური განსწავლის წლები, კანტისა და ნეოკანტიანელობის (განსაკუთრებით, ჰაინრიხ რიკერტის) გარდა, გერმანული რომანტიზმის შემეცნებისთეორიული საფუძვლების შესწავლასაც მიუძღვნა. ამ კვლევის შედეგები აისახა კიდევც მის დისერტაციაში – „ხელოვნების კრიტიკის ცნება გერმანულ რომანტიზმში“.

თავის დისერტაციაში ბენიამინმა დაწვრილებით შეისწავლა და განიხილა ხელოვნების კრიტიკის ფილოსოფიური საფუძვლები ადრეულ რომანტიზმში. მისი აზრით, სწორედ „კრიტიკის“ რომანტიკული ცნებიდან იღებს დასაბამს „კრიტიკის“ თანამედროვე ცნება; თუმცა რომანტიკოსებთან „კრიტიკა“ ეზოთერული ცნება იყო, რომელიც მისტიკურ წანამძღვრებს ეფუძნებოდა¹⁶; რაც შეეხება

¹⁶ გერმანული რომანტიზმის სპეციფიკური ცნე-

„ხელოვნებას“, რომანტიკოსთა და გვიანდელ პოეტთა მოსაზრებანი მის შესახებ მრავალი მიმართებით „ხელოვნების“ თანამედროვე ცნებას მოიცავს კიდევ¹⁷.

თავის სადისერტაციო ნაშრომში ბენიამინი ჯერ ადრეული რომანტიზმის შემეცნებითეორიულ საფუძვლებს განსაზღვრავს და გვიჩვენებს, თუ რამდენადაა დავალებული ის ადრეული ფიხტეს რეფლექსიის ცნებისაგან¹⁸.

ბებისა და მათი ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს ლ. ზაქარაძე თავის უახლეს გამოკვლევაში; იხ. ლ. ზაქარაძე, გერმანული რომანტიზმი და ქართველი რომანტიკოსები, თბილისი, 2008, გვ. 15-34.

¹⁷ ამ საკითხების შესახებ ბენიამინი საგანგებოდ მსჯელობდა თავის ნერილებშიც; იხ. Walter Benjamin 1892 – 1940, S. 60-61.

¹⁸ უნდა ითქვას, რომ ადრეული რომანტიზმის ჩამოყალიბების პროცესზე იოჰან გოტლიბ ფიხტეს აზროვნების გავლენას საგანგებოდ აღნიშნავენ რომანტიზმის მკვლევრები; იხ. ლ. ზაქარაძე, გერმანული რომანტიზმი და ქართველი რომანტიკოსები, გვ. 22: „რომანტიკოსთა იენის წრის შეხედულებები ემყარებოდა ფიხტეს სუბიექტივიზმის ფილოსოფიას – ‘მეს’ აქტიურობის პრინციპს. ‘მე’, როგორც მსურველი და მოქმედი პიროვნულობა, სა-

ფიხტესთან აზროვნება და რეფლექსია ერთმანეთს ემთხვევა: **რეფლექსიური აზროვნება** და **უშუალო შემეცნება** ერთმანეთს განაპირობებს. განსხვავება ფიხტესა და ადრეულ რომანტიზმს შორის ისაა, რომ ფიხტესთან **რეფლექსია** მხოლოდ „მე“-ში ხორციელდება, მაშინ როცა ადრეული ხანის რომანტიკოსები მას „თვითში“ განათავსებენ. **რეფლექსიაში** ყველაფერი ყველაფერთანაა დაკავშირებული, ისე, რომ ის მხოლოდ ადამიანურ „მეს“ კი არ მოიცავს, არამედ ბუნების ყოველგვარ „თვითსაც“.

„ხელოვნების კრიტიკის ცნება გერმანულ რომანტიზმში“ იმითაცაა საინტერესო, რომ იქ „კრიტიკის“ იმგვარი გაგება გვხვდება, რაც ბენიამინს კრიტიკული თეორიის (ფრანკფურტის სკოლის) ტრადიციასთან აახლოებს. „კრიტიკის“ ცნების კონტურების

მყაროს შემქმნელ პრინციპად იქცა და მას, თავისი აბსოლუტური შინაგანობიდან გამომდინარე, ყოველგვარი რეალურობის შექნის უნარი მიენიჭა. სწორედ ფიხტე მიანერდა ხელოვნებას ფილოსოფიური პრობლემებისა და პიროვნების მთლიანობის აღდგენის ფუნქციას“.

დადგენისას ის, უნინარეს ყოვლისა, ფრიდრიხ შლეგელის (1772-1829) შემოქმედებასა და ადრეული რომანტიზმის წარმომადგენლებს ეყრდნობოდა; სწორედ აქ იპოვა მან „ხელოვნების კრიტიკის“ დამუშავებული თეორია. გვიანდელ პერიოდში კი, ბენიამინი „კრიტიკის“ მარქსისეულ ცნებასაც იყენებდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში ბენიამინის ინტერესთა სფერომ ცვლილება განიცადა და ენის ფილოსოფიიდან ესთეტიკაში გადაინაცვლა. ეს კარგად ჩანს მის გამოკვლევაში „გერმანული ტრაგედიის საწყისი“ (1928). ეს ნაშრომი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფრანკფურტის უნივერსიტეტის მიერ დაუნებულ იქნა. ამის შემდეგ ბენიამინი, უმეტესწილად, ლიტერატურის კრიტიკის დარგში მოღვაწეობს. მის ლიტერატურულ შრომებში ცხადად ჩანს მისი აზროვნების ანტიიდეალისტური ხასიათი, ფილოსოფიური სისტემურობის უარყოფა; აქ გარკვეული მსგავსება გვაქვს ერნსტ ბლოხისა (1885-1977) და ფრანც როზენცვაიგის (1886-1929) შრომებთან; თუმცა, ბენიამინის აზროვნების

სტილი, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მეტად მაინც ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900) მეთოდოლოგიურ პოზიციას ენათესავება. ნიცშეს აზრით, „სისტემის შექმნის სურვილი სინდისიერების ნაკლებობის მაჩვენებელია“¹⁹.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ბენიამინი დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებს იზიარებდა. ბენიამინის კონცეფცია „გაშეშებულობის დიალექტიკისა“, რომელიც მოძრაობაში, ცვალებადობაში მყოფის, ისტორიის ისე განხილვას მოითხოვდა, რომ იზოლირებული დეტალებიდან ჭეშმარიტების გაშიფრვა უნდა მომხდარიყო, ოფიციალური დიალექტიკის ვერსიებს – უნივერსალურ გამშუალებლებს – არ ემორჩილებოდა, მაგრამ თეოლოგიურ მოტივებსა და ებრაული მესიანიზმის ელემენტებს კი შეიცავდა.

ბენიამინის ფილოსოფიის სპეციფიკურობამ მისი ნაშრომების ლიტერატურული

¹⁹ ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხილეთ ჩემი მონოგრაფია: თ. ირემიძე, ფრიდრიხ ნიცშე. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“: ტექსტი და კონტექსტი, თბილისი, 2006, გვ. 38-39.

ფორმაც განსაზღვრა: თხზულება „ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა“ აფორიზმების კრებულია. ტექსტში „გერმანელი ადამიანები. წერილების სერია“ გამოყენებულია კომენტარი (როგორც ლიტერატურული გვარი), ხოლო „ბერლინური ბავშვობა ათას ცხრაას წელს“ ავტობიოგრაფიულ ესკიზს წარმოადგენს. დაუსრულებელ „ნაშრომში პასაჟების შესახებ“, რომელშიც XIX საუკუნის ისტორიის ფილოსოფია უნდა ყოფილიყო გადმოცემული და მის მთავარ ნაშრომადაც იყო დაგეგმილი, ბენიამინი დროდადრო სიურრეალისტური ციტატების მონტაჟის ფორმას იყენებს.

მეთოდისა და საგნის ცვლილების მიუხედავად, ბენიამინის აზროვნებაში გარკვეული უწყვეტი ძაფის, ანუ კავშირის დანახვა მაინც შეიძლება. ის ყოველთვის ცდილობდა, რომ ზოგადი ცნების ჰეგემონიისაგან დაეხსნა თავი, არაარსებითის წინაშე არსებითის, წარმავალის წინაშე კი დარჩენადის გაღმერთების ტენდენციას დაპირისპირებოდა. ბენიამინს სურდა, რომ ტრადიციული ფილოსოფიისაგან მივიწყებული, განუმეო-

რებელი, ინტენციისაგან დაცლილი **კონკრეტული** „გადაერჩინა“. პოზიტივიზმისა და ცალკეულ მეცნიერებებზე ორიენტირებული ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ, ბენიამინის საყოველთაო „გასაგნებას“ უბრალო ნიშანთა სისტემად უარყოფდა. მისი შემეცნების თეორიის (რომელიც არსებითად ენის ფილოსოფიაა) მიზანია, ცნებებში არაფიქსირებადი და საერთოდ ცნებობრივად არაფიქსირებადი როგორმე „გამოავლინოს“. „გამოთქმა“, ბენიამინის აზრით, არის ის, რისი მეშვეობითაც ენა შიშველი მნიშვნელობების მიღმა გადის. ენა, როგორც გამოთქმა, არის მცდელობა **სახელდებისა**. ამგვარი მცდელობა ყველაზე მეტად, მისი აზრით, ხელოვნებაში ხორციელდება. ხელოვნების ქმნილებებში ჭეშმარიტების შინაარსი და საგნის შინაარსი მჭიდროდაა ერთმანეთს დაკავშირებული.

ბენიამინის მიხედვით, „მარადიული ჭეშმარიტებები“ არ არსებობს! მისი ფილოსოფიის – ისევე, როგორც ნიცშეს შემოქმედების²⁰ –

²⁰ იხ. თ. ირემაძე, ფრიდრიხ ნიცშე, გვ. 11-12.

კონტექსტში „მარადიული ქეშმარიტების“²¹ შესახებ საუბარი საფუძველსაა მოკლებული. მიუხედავად ამისა, ბენიამინი არც „ქეშმარიტების“ მარქსისტულ ცნებას („ქეშმარიტება, როგორც შემეცნების დროითი ფუნქცია“) აღიარებს. **ქეშმარიტება** დროის არსს ისეა დაკავშირებული, რომ ის შემეცნებულში და შემეცნებელში ერთდროულად არსებობს. **განსაკუთრებული, ცნებებით შეუმეცნებადი არსებული**, სუბსტანციურ ხასიათს მხოლოდ მაშინ შეიძენს, თუკი ჩვენ მას ზოგადთან მიმართებაში გამოვიკვლევთ, როგორც „საზოგადოებრივად“ გაშუალებულ ფენომენს.

²¹ იხ. თ. ირემიძე, ფრიდრიხ ნიცშე, გვ. 12: „აბსოლუტური ცოდნა, რომელიც ტრადიციულ აზროვნებაში ქეშმარიტების ცნებას იყო მიჯაჭვული, არ არსებობს. არ არსებობს, რადგან ყოველ საგანს თავისი დრო აქვს. [...] ნიცშეს მიხედვით, ზარატუსტრაა ის, ვინც ქეშმარიტებას პირველად ქმნის, მაგრამ ყველა დროის ქეშმარიტებას კი არა, არამედ თავისი დროის ქეშმარიტებას. ქეშმარიტება კეთილისა და ბოროტის მიღმა – დროითი ქეშმარიტებაა.“

§2. ტექნიკური რეპროდუცირებადობა და „აურა“

1935-1936 წწ. ვალტერ ბენიამინმა, პარიზულ გადასახლებაში ყოფნისას, დაწერა თავისი განთქმული გამოკვლევა „ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“²². ეს შრომა „სოციალური კვლევის ჟურნალში“ გამოქვეყნდა 1936 წელს და მისი რამდენიმე ვარიანტია შემორჩენილი; ის თანამედროვე კულტურისა და მედიის თეორიის უმნიშვნელოვანეს ტექსტადაა მიჩნეული. ამ ნაშრომში ბენიამინი „პოლიტიკური ცხოვრების ფაშისტური

²² იხ. ვ. ბენიამინი, ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში // ვ. ბენიამინი, ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა დ. დუმბაძემ, რედ. რ. ასათიანი, თ. ირემაძე, თბილისი, ³2008.

ესთეტიზაციის²³ წინააღმდეგ გამოდის და მასობრივი მედიის ახალი ფორმების შესახებაც ადეკვატურად მსჯელობს. ამასთანავე, ის იმ ისტორიულ, სოციალურ და ესთეტიკურ პროცესებსაც აღწერს, ხელოვნების ნიმუშის რეპროდუქციების პროცესს რომ ახლავს თან. ბენიამინის აზრით, რეპროდუქციის მეშვეობით ხელოვნების ნიმუში კარგავს თავის „აურას“, იძენს **საქონლის** სახესა თუ თვისებას და ამგვარად მიეწოდება მასას, რომელსაც მისი ათვისება ყოველთვის შეუძლია.

ბენიამინი ხელოვნების ნიმუშში მის საკულტო და საგამოფენო ფუნქციებს განასხვავებს. მისი საკულტო მნიშვნელობა დასაბამს იღებს რელიგიური წეს-ჩვეულებებიდან: ამ ეპოქაში ხელოვნების ნიმუშებს იმისთვის ამზადებდნენ, რომ მათ ღვთისმსახურების პროცესში მაგიური ზემოქმედება მოეხდინათ ადამიანებზე. აქ ღმერთების – და არა ადამიანების – **არტეფაქტები** უნდა ყოფილიყო აღქმული. მაგრამ ეს მდგომარეობა მაშინ შეიცვალა, როცა ხელოვნება

²³ იხ. ვ. ბენიამინი, ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუქციებადობის ეპოქაში, გვ. 84.

რიტუალს გამოეყო. ამ დროიდან ხელოვნების ქმნილებებს სულ უფრო მეტად ქმნიან საზოგადო დათვალიერებისთვის. ამდენად, ხელოვნების ნიმუშის საგამოფენო ღირებულებამ მისი საკულტო ღირებულება თითქმის განდევნა. სწორედ აქ იჩენს თავს **ტექნიკური რეპროდუცირებადობისა** და „აურას“ ურთიერთმიმართების პრობლემა. „აურას“ ცნების ზუსტი კონტურების გამოკვეთა ბენიამინთან არცთუ ადვილია, რადგან ის ამ ცნებას თავის სხვადასხვა ტექსტში სახეცვლილი ფორმით იყენებს. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია: ხელოვნების ნიმუშის „აურა“ იქ გამოჩნდება, სადაც მისი ნამდვილობა და განუმეორებლობაა გარანტირებული. ასე რომ, „აურა“ რეპროდუცირებადობის საწინააღმდეგო ფენომენია.

ტექნიკური რეპროდუცირებადობა ამცირებს **ნამდვილობის** სფეროს. განსაკუთრებით ფოტოგრაფიის მეშვეობითაა შესაძლებელი ხელოვნების ნიმუშის ნებისმიერ დროსა და ადგილზე დათვალიერება. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ადამიანთა

აღქმის ფორმებზე²⁴. სადაც რეპროდუცირებადობა ჩნდება და არტეფაქტების ყოველნა-
მიერი ხელმისაწვდომობაა შესაძლებელი, იქ
„აურის“ მქონე ხელოვნების ნიმუშთა აღ-
ქმის, რეცეფციის ფორმაც იცვლება; მათი
განუმეორებელი დანიშნულება იჩქმალება
და „აურაც“ თავის პირვანდელ ფუნქციას
კარგავს.

²⁴ შდრ. დ. დუმბაძე, მთარგმნელის ბოლოსი-
ტყვაობა // ვ. ბენიამინი, ხელოვნების ნიმუში
მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპო-
ქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანული-
დან თარგმნა დ. დუმბაძემ, რედ. რ. ასათიანი
და თ. ირემაძე, თბილისი, ³2008, გვ. 114.

§3. ისტორიის ბენიამინისეული კონცეფცია (თეოლოგია, მესიანიზმი, პოლიტიკა)

ბენიამინის ბოლო შრომა, თეზისები „ისტორიის ცნების შესახებ“ (1940), „ჰიტლერ-სტალინის პაქტით გამოწვეული შოკიდან გამოღვიძების“ ნიშანია (გერშომ შოლემი). 1939 წლის „ჰიტლერ-სტალინის თავდაუსხმელობის პაქტმა“ ანტიფაშისტური მემარცხენე პარტიების თეორიული და პოლიტიკური უსუსურობა აჩვენა. მათ ვერ შეძლეს ისტორიული დროის არადეტერმინირებულად გააზრება და რევოლუციის როლის ახლებური შეფასება. ამ გამოუვალ მდგომარეობაში ბენიამინი კვლავ თეოლოგიურ მოტივებს მიმართავს, რათა **პროფანულის** (ამქვეყნიურის) შესაძლო დინამიკა უკეთ გაიგოს. აქ თეოლოგია ირაციონალურ ხედვათა ბუდედ კი არ განიხილება, არამედ ადამიანური დროის ახალი გააზრების მოდელად.

თეზისების, ფრაგმენტების სახით ჩამო-

ყალიბებული ნაშრომი – „ისტორიის ცნების შესახებ“, რომელიც პირველად 1942 წელს გამოქვეყნდა სოციალური კვლევის ინსტიტუტის მიერ ვალტერ ბენიამინის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში – ისტორიული მატერიალიზმის არადოგმატურ ინტერპრეტაციას ისახავდა მიზნად. ბენიამინის აზრით, ისტორია არ არის ერთიანი, უწყვეტი, წინ მიმავალი პროცესი, რომელსაც მხოლოდ პროგრესის ხასიათი აქვს. ისტორიული მატერიალიზმის სწავლულმა ყურადღება უნდა მიაქციოს კლასობრივი დაპირისპირებების ისტორიას. გამარჯვებული კლასები ყოველთვის ცდილობდნენ, თავიანთი გადასახედიდან განეხილათ ისტორიული პროცესები; ისინი, ჩამოთვლიან რა უბრალო ფაქტების მწკრივს, „ნეიტრალურად“ აწარმოებენ ისტორიოგრაფიას.

ბენიამინი – თავისი ნაშრომის XVII ფრაგმენტში – მკაცრად აკრიტიკებს ტრადიციული ისტორიზმის მოდელს, მის „კრებით მეთოდს“, რომელიც მხოლოდ ფაქტების სიმრავლეზე დაყრდნობით ცდილობს „ჰო-

მოგენური და ცარიელი დროის ამოვსებას²⁵. უნივერსალურ ისტორიზმს უპირისპირდება და ემიჯნება მატერიალისტური ისტორიოგრაფია, რომელიც ამ ჰომოგენური, ანუ ცარიელი დროის გარღვევას ახერხებს თავისი თეორიული ინსტრუმენტებით.

თუკი მატერიალისტური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელს ისტორიის უწყვეტობის ცნობიერების გადალახვა და ცარიელი, ჰომოგენური დროის გარღვევა სურს, მაშინ მან დახმარებისთვის იუდაური მესიანიზმის მდიდარ ტრადიციას შეუძლია მიმართოს. აი, სწორედ აქ იჩენს თავს ვალტერ ბენიამინისთვის ასე ახლობელი ებრაული რელიგიური ტრადიციის გათვალისწინების აუცილებლობა. როგორც ცნობილია, ებრაელთათვის არსებითი იყო ამქვეყნიურზე ორიენტირება; მათი წარმოდგენით, იესოს განცხადებამ იმის შესახებ, რომ მისი საუფლო ამქვეყნიური არ

²⁵ ვ. ბენიამინი, ისტორიის ცნების შესახებ // ვ. ბენიამინი, ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა დ. ღუმბაძემ, რედ. რ. ასათიანი, თ. ირემიძე, თბილისი, ³2008, გვ. 108.

არის, საბოლოო დისკრედიტირება გაუკეთა მას, როგორც მესიას. ბენიამინიც ამბობს, რომ „ებრაელებს ეკრძალებოდათ მომავლის გამოძიება. თორა და ლოცვები მათ, პირიქით, გახსენებას ასწავლის“²⁶. ამდენად, ებრაელები მომავალს არ აღიქვამდნენ ცარიელ და ჰომოგენურ დროდ: სწორედ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო იმის საწინდარიც, რომ მათ მესია ამ დროის ნებისმიერ მომენტში მოვლენოდა. კაცობრიობის ხსნაც „ახლა“-ს კონკრეტულ მომენტშია შესაძლებელი და არა აბსტრაქტულ მომავალში, რადგან სწორედ „ახლა“-ს ცნება მოიცავს „მესიანურის“ ელემენტებს²⁷.

თავისი აზროვნების მესიანურ ელფერს ბენიამინი კარგად გამოხატავს 1920 წელს შექმნილ „თეოლოგიურ-პოლიტიკურ ფრაგმენტში“, რომლის პირველ ქართულ თარგმანსაც წინამდებარე წიგნში იხილავს ჩვენი მკითხველი. ამ მცირე ზომის ნაშრომში ბე-

²⁶ ვ. ბენიამინი, ისტორიის ცნების შესახებ, გვ. 110-111.

²⁷ იხ. ვ. ბენიამინი, ისტორიის ცნების შესახებ, გვ. 110.

ნიამინი მესიანურისა და ისტორიულის ასეთ მიმართებას დაადგენს:

„პირველად თვითონ მესია სრულყოფს ყოველგვარ ისტორიულ ხდომილებას, სახელდობრ, იმ აზრით, რომ თავად ის გადაარჩენს, დაასრულებს, ქმნის თავის მიმართებას მესიანურთან. ამიტომ ვერავითარ ისტორიულს, საკუთარი თავიდან გამომდინარე, ვერ ექნება მესიანურთან მიმართება“²⁸.

ეს სააზროვნო ხატი ბენიამინს მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ შორდება. თავის ბოლო ნაშრომში – „ისტორიის ცნების შესახებ“ – ის მრავალგზის მიანიშნებს მესიანიზმის ფუნქციონალურ დატვირთვაზე. მისი აზრით, მესიის მოსვლა აბსტრაქტული მომავლის პირობებში ვერ მომზადდება; ამისთვის საჭიროა წარსუ-

²⁸ იხილეთ ქვემოთ: ვ. ბენიამინი, თეოლოგიურ-პოლიტიკური ფრაგმენტი, გერმანულიდან თარგმნა თ. ირემიძემ, გვ. 85.

ლის გახსენება. სწორედ „გახსენების“ მეშვეობით თუ გახდება ნებისმიერი წამი „პატარა კარიბჭე“, საიდანაც „მესიას შეეძლო შემოებიჯებინა“²⁹.

ვალტერ ბენიამინის აზროვნების თავისებურება ის არის, რომ მასში მატერიალიზმი და მესიანიზმი ერთმანეთსაა გადაჯაჭვული. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ისტორიული მატერიალიზმს სჭირდება იუდაური მესიანიზმის მოძღვრება „ხსნის“ შესახებ. ერთ-ერთ წერილში თავადაც ამბობს, რომ მის შეხედულებებს ემნის წინააღმდეგობებით სავსე და მოძრავი მთლიანობა. ყველაზე ნათლად მის დამოკიდებულებას თეოლოგიისადმი „პასაჟების...“ ერთ-ერთი თვალსაჩინო სურათი ასახავს:

„ჩემი აზროვნება თეოლოგიასთან ისეთ მიმართებაშია, როგორც საშრობი – მელანთან. ის სრულიად გაუღენთილია ამ თეოლოგიით, მაგრამ საშრობის ნება რომ ყოფი-

²⁹ იხ. ვ. ბენიამინი, ისტორიის ცნების შესახებ, გვ. 111.

ლიყო, დაწერილისაგან აღარაფერი
დარჩებოდა³⁰.

მაშასადამე, ისტორიული მატერიალიზმის
არაორთოდოქსულ ინტერპრეტაციას სჭირ-
დება თეოლოგია. ამის შესახებ საუბრობს
კიდევც ბენიამინი თავის პირველ თეზისში
„ისტორიის ცნების შესახებ“:

„ცნობილია ერთი ავტომატი, რო-
მელიც ისე იყო მოწყობილი, რომ
ჭადრაკის თამაშისას მოწინააღ-
მდეგის ნებისმიერ სვლას, საბო-
ლოოდ, ყოველი პარტიის მოგე-
ბით პასუხობდა. ფართო მაგიდაზე
გაშლილი იყო დაფა, რომელთა-
ნაც იჯდა თურქულ სამოსში გა-
მოწყობილი თოჯინა და ჩილიმს
ენეოდა. სარკეთა სისტემით იქმ-
ნებოდა ილუზია, თითქოს მაგიდა
ყოველმხრივ გამჭვირვალე იყო,
სინამდვილეში კი შიგნით კუზია-

³⁰ W. Benjamin, Das Passagen-Werk, hrsg. von
R. Tiedemann, Bd. V, Frankfurt a. M., 1982, S. 588.

ნი ლილიპუტი იჯდა, რომელიც
ჭადრაკს ოსტატურად თამაშობდა
და ამ თოჯინას თოკებით მართა-
ვდა. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდ-
გინოთ ამ აპარატურის ანალოგი
ფილოსოფიაში. მოგებით ყოველ-
თვის მოიგებს თოჯინა, რომელსაც
‘ისტორიულ მატერიალიზმს’ ვუნო-
დებთ. მისთვის არავითარ სირთუ-
ლეს არ წარმოადგენს ნებისმიერს
გაუმკლავდეს, თუკი იგი მოსამ-
სახურედ დაიყენებს თეოლოგიას,
დღეს ისედაც ასე პატარა და უშნო
რომ არის და თავის გამოჩენა აკრ-
ძალული აქვს“³¹.

თეოლოგიური შიგთავსის გარეშე მატე-
რიალიზმი დაკარგავს თავის მამოძრავებელ
ძალას; ისტორიული მატერიალიზმი თეოლო-
გიის გარეშე „ჭადრაკის პარტიას“ ვერ მოი-
გებს: ის შედეგს მხოლოდ მაშინ მიაღწევს,
თუკი „მოსამსახურედ დაიყენებს თეოლო-
გიას“. თეოლოგია ამ თამაშში ფარულად

³¹ ვ. ბენიამინი, ისტორიის ცნების შესახებ, გვ. 91.

მოქმედებს; ის პოსტმეტაფიზიკურ ეპოქაში ასეთ ფუნქციას იძენს და თამაშის ამგვარ წესებსაც ემორჩილება. „პატარა და უშნო თეოლოგია“ მხოლოდ ასეთი სახით ინარჩუნებს თავის ქმედითუნარიანობას. აქ მთავარი ისაა, რომ „ჭადრაკის პარტიას“ ისტორიული მატერიალიზმი თამაშობს და გამარჯვებასაც, შესაბამისად, ის იზეიმებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც ბენიამინი საგანგებოდ განიხილავს თეზისებში „ისტორიის ცნების შესახებ“, **პოლიტიკური კონფორმიზმია**. მისი აზრით, სწორედ ამ კონფორმიზმმა გამოიწვია ის, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარუმატებელი აღმოჩნდა. ეს ბენიამინს გერმანული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სენად მიაჩნია. კონფორმისტული აზროვნება ისტორიული პროგრესის იდეას ეფუძნება. პროგრესული შეხედულებები ისტორიის შესახებ კი ისტორიული წარსულის მცდარი სურათის წინაპირობაა. მატერიალისტური ისტორიოგრაფია „წარსულის ჭეშმარიტი სურათის“ აღდგენას ცდილობს. ეს, ბენიამინის მიხედვით, მხო-

ლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუკი ისტორიკოსი ხელს აიღებს პროგრესის გავრცელებულ ცნებაზე. ისტორია უნდა გავიგოთ და განვიხილოთ, როგორც წარუმატებლობათა ისტორია. სწორედ წარსულის ამგვარი გაგება შეიძლება ამოვიკითხოთ პაულ კლეეს „ანგელუს ნოვუსის“ იმ ინტერპრეტაციაში, რომელსაც ბენიამინმა თავისი ნაშრომის – „ისტორიის ცნების შესახებ“ – მეცხრე თეზისი მიუძღვნა; აქ გამოხატული ანგელოზის სახე ისტორიკოსის ისეთ ხატს განასახიერებს, რომელსაც წარსულის „დახსნა“ სურს „სამოთხის ქარბუქისაგან“, ანუ პროგრესის იდეისაგან. ეს რომ არც ისე იოლია, ამას თვით ბენიამინიც კარგად ხვდება, როცა „ისტორიის ქარბუქთან“ მებრძოლ ანგელოზს ხატავს, დაჟინებით რომ შეუქცევია ზურგი მომავლისათვის. ისტორიის ანგელოზს დამარცხებულთა უფლებების აღდგენა სურს, „მოვლენათა თანმიმდევრობის“ წარმოჩენის ნაცვლად კი – „წარსულის ნამსხვრევების“ დაფიქსირება³².

³² იხ. ვ. ბენიამინი, ისტორიის ცნების შესახებ, გვ. 99.

ბენიამინის აზრით, ფილოსოფიამ სწორედ „ისტორიის ნანგრევებს“ უნდა მიაქციოს ყურადღება³³, იმას, რაც „დაიწაგრა და დაივინყეს“. მაშინ, როცა ტრადიციული ისტორიის ფილოსოფია, კერძოდ კი, ჰეგელისა, სასრულის უარყოფის ხარჯზე უსასრულოს, აბსოლუტურს განადიდებს, ბენიამინის ინტერესის სფეროდ ის რჩება, რაც „უდროო“ და „დაზარალებული“ აღმოჩნდა.

„უდროო და დაზარალებული ცხოვრების“ შემსწავლელი ავტორის შემოქმედება დიდხანს აღმოჩნდა დაზარალებული არა მარტო თანამედროვეთა, არამედ შემდეგი თაობების მიერაც. ამ სავალალო ტენდენციას წერტილი დაუსვა ადორნოსა და შოლემის მიერ წამოწყებულმა ვალტერ ბენიამინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემამ. 1970-1989 წლებში გამოსულმა ბენიამინის შრომებმა ბოლო მოუღო ამ ავტორის წარუმატებლობის ისტორიას! დღეს, უსამართლოდ მივიწყებული კულტურის, ხელოვნების, მედიის თეორეტიკოსი და ფილოსოფოსი

³³ იხ. ვ. ბენიამინი, ისტორიის ცნების შესახებ, გვ. 99.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერება-
თა მრავალი მიმართულების ბიძგის მიმცემ
ავტორადაა მიჩნეული; ის კრიტიკული აზრო-
ვნების მდიდარი ტრადიციის ერთ-ერთი ყვე-
ლაზე ღისშესანიშნავი წარმომადგენელია.

დაწერეთ

ვალტერ ბენიამინი

თეოლოგიურ-პოლიტიკური ფრაგმენტი

პირველად თვითონ მესია სრულყოფს ყოველგვარ ისტორიულ ხდომილებას, სახელდობრ, იმ აზრით, რომ თავად ის გადაარჩენს, დაასრულებს, ქმნის თავის მიმართებას მესიანურთან. ამიტომ ვერავითარ ისტორიულს, საკუთარი თავიდან გამომდინარე, ვერ ექნება მესიანურთან მიმართება. სწორედ ამიტომ ღვთის საუფლო არ არის ისტორიული დინამიკის ტელოსი; ის მიზნად ვერ იქნება დასახული. ისტორიულად დანახული, ის მიზანი კი არ არის, არამედ დასასრულია. ამიტომაც პროფანის წესრიგი ღვთის საუფლოს იდეაზე ვერ იქნება აგებული; ამიტომაც თეოკრატიას არავითარი პოლიტიკური, არამედ მხოლოდ რელიგიური საზრისი აქვს. (თეოკრატიის პოლიტიკური მნიშვნელობა – ყოველგვარი ინტენსიობით უარყოფილი – [ერნსტ] ბლოხის „უტოპიის სულის“ უდიდესი დამსახურებაა.)

პროფანის წესრიგი ბედნიერების იდეაზე შეიძლება იყოს აგებული. ამ წესრიგის მესიანურთან მიმართება ისტორიის ფილოსოფიის ერთ-ერთი არსებითი ნაწილია, სახელდობრ, მისგანაა განპირობებული ისტორიის მისტიკური გაგება, რომლის პრობლემაც ერთ შემდეგ სურათში შეიძლება იქნეს ასახული. თუ ერთი ისრის მიმართულება იმ მიზანს აღნიშნავს, რომელშიც პროფანის დინამიკა მოქმედებს, ხოლო მეორე ისარი – მესიანური ინტენსიობის მიმართულებას, მაშინ თავისუფალი კაცობრიობის მიერ ბედნიერების ძიება, რასაკვირველია, ამ მესიანური მიმართულებიდან წინ ისწრაფვის, მაგრამ ისე, რომ, როგორც ერთ ძალას, თავისი გზის მეშვეობით, შეუძლია ხელი შეუწყოს სხვა, საპირისპირო გზის მქონე ძალას, ასევე უწყობს ხელს პროფანის პროფანული წესრიგი მესიანური საუფლოს მოსვლას. მაშასადამე, **პროფანული** თუმცა არ არის საუფლოს კატეგორია, მაგრამ იგი ამ საუფლოს ჩუმი და სწორედაც უნამდვილესი მოახლოების კატეგორიათაგანია. ვინაიდან ბედნიერებაში ყოველივე მინიერი თავის დაღმასვლას ესწრაფვის, მხოლოდ ბედ-

ნიერებაში ძალუძს მას დაღმასვლის პოვნაც. – მაშინ, როცა გულის, ცალკეული შინაგანი ადამიანის, უშუალო მესიანური ინტენსიობა, რა თქმა უნდა, უბედურების (ტანჯვის გაგებით) გზით მიედინება. სულისმიერ *restitutio in integrum*³⁴-ს, უკვდავებისკენ რომ მივყავართ, შეესაბამება ამქვეყნიური *restitutio in integrum*, რომელიც დაღმასვლის მარადიულობაში მიედინება, და რიტმი ამ მარადიულად წარმავალი, ამ თავის ტოტალობაში წარმავალი, ამ თავის სივრცულ, მაგრამ, აგრეთვე, დროითს ტოტალობაში წარმავალი ამქვეყნიურისა, რიტმი მესიანური ბუნებისა, გახლავთ ბედნიერება. ბუნება ხომ მესიანურია მისი მარადიული და ტოტალური წარმავლობისა გამო. აი, ამისკენ სწრაფვა, ადამიანის იმ საფეხურთათვისაც, ბუნებას რომ წარმოადგენს – მსოფლიო პოლიტიკის ამოცანაა, რომლის მეთოდსაც ნიჰილიზმი უნდა ეწოდოს.

თარგმნილია გერმანულიდან ქართულად
თენგიზ ირემაძის მიერ

³⁴ „უკვე არსებული მდგომარეობის კვლავ-აღდგენა“ (ლათ.) – მთარგმნელის შენიშვნა.

პროფანის წესრიგი ბედნიერების იდეაზე შეიძლება იყოს აგებული. ამ წესრიგის მესიანურთან მიმართება ისტორიის ფილოსოფიის ერთ-ერთი არსებითი ნაწილია, სახელდობრ, მისგანაა განპირობებული ისტორიის მისტიკური გაგება, რომლის პრობლემაც ერთ შემდეგ სურათში შეიძლება იქნეს ასახული. თუ ერთი ისრის მიმართულება იმ მიზანს აღნიშნავს, რომელშიც პროფანის დინამიკა მოქმედებს, ხოლო მეორე ისარი – მესიანური ინტენსიობის მიმართულებას, მაშინ თავისუფალი კაცობრიობის მიერ ბედნიერების ძიება, რასაკვირველია, ამ მესიანური მიმართულებიდან წინ ისწრაფვის, მაგრამ ისე, რომ, როგორც ერთ ძალას, თავისი გზის მეშვეობით, შეუძლია ხელი შეუწყოს სხვა, საპირისპირო გზის მქონე ძალას, ასევე უწყობს ხელს პროფანის პროფანული წესრიგი მესიანური საუფლოს მოსვლას. მაშასადამე, **პროფანული** თუმცა არ არის საუფლოს კატეგორია, მაგრამ იგი ამ საუფლოს ჩუმი და სწორედაც უნამდვილესი მოახლოების კატეგორიათაგანია. ვინაიდან ბედნიერებაში ყოველივე მინიერი თავის დაღმასვლას ესწრაფვის, მხოლოდ ბედ-

ნიერებაში ძალუძს მას დაღმასვლის პოვნაც. – მაშინ, როცა გულის, ცალკეული შინაგანი ადამიანის, უშუალო მესიანური ინტენსიობა, რა თქმა უნდა, უბედურების (ტანჯვის გაგებით) გზით მიედინება. სულისმიერ *restitutio in integrum*³⁴-ს, უკვდავებისკენ რომ მივყავართ, შეესაბამება ამქვეყნიური *restitutio in integrum*, რომელიც დაღმასვლის მარადიულობაში მიედინება, და რიტმი ამ მარადიულად წარმავალი, ამ თავის ტოტალობაში წარმავალი, ამ თავის სივრცულ, მაგრამ, აგრეთვე, დროითს ტოტალობაში წარმავალი ამქვეყნიურისა, რიტმი მესიანური ბუნებისა, გახლავთ ბედნიერება. ბუნება ხომ მესიანურია მისი მარადიული და ტოტალური წარმავლობისა გამო. აი, ამისკენ სწრაფვა, ადამიანის იმ საფეხურთათვისაც, ბუნებას რომ წარმოადგენს – მსოფლიო პოლიტიკის ამოცანაა, რომლის მეთოდსაც ნიჰილიზმი უნდა ეწოდოს.

თარგმნილია გერმანულიდან ქართულად
თენგიზ ირემაძის მიერ

³⁴ „უკვე არსებული მდგომარეობის კვლავ აღდგენა“ (ლათ.) – მთარგმნელის შენიშვნა.

რეზიუმე ინგლისურ ენაზე

WALTER BENJAMIN

Life, Work, Actuality

Summary

The book represents the first research on Walter Benjamin's work in the Georgian language. It consists of three parts and considers the life and work of this outstanding German thinker of Jewish origin.

1. In the first part of the book Walter Benjamin's childhood and university years are discussed. It also describes Benjamin's relations with the outstanding thinkers of his period. This part also reveals the details of Benjamin's journey in the Soviet Union. In the same part particular attention is paid to Benjamin's works published in his lifetime as well as to his relations with the representatives of *Frankfurt School*.

2. The second part of the research is dedicated to the last years of Walter Benjamin's life. The object of special discussion is the issue how he ended his life: whether he committed a suicide or was killed. The both accounts of his death are discussed in this part of the book using proper arguments.

3. In the third part of this book the characters of Benjamin's thinking and the actual aspects of his works are underlined and discussed. Special attention is paid to the following issues of Benjamin's studies: the conception of history, the main aspects of materialistic historiography, the problem of relations between theology and politics, the issues of Jewish messianism, etc.

In this book – as an appendix – is published Walter Benjamin's work of the early period "Theological-Political Fragment." This is the first Georgian translation done by the author of this book.

ლიტერატურის სია

1. ვალტერ ბენიამინის შრომათა გამოცემები და ქართული თარგმანები

Benjamin, Walter: Gesammelte Schriften, Bd. I-VII, unter Mitwirkung von Theodor W. Adorno und Gershom Scholem hrsg. von R. Tiedemann / H. Schweppenhäuser, Frankfurt a. M., 1972-1989.

Benjamin, Walter: Gesammelte Briefe, Bd. 1-6, hrsg. von Ch. Gödde / H. Lonitz, Frankfurt a. M., 1995-2000.

Benjamin, Walter: Berliner Kindheit um neunzehnhundert. Gießener Fassung, hrsg. von R. Tiedemann, Frankfurt a. M., 2000.

ბენიამინი, ვალტერ: ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა დ. დუმბაძემ, რედაქტო-

რები: რ. ასათიანი და თ. ირემაძე, პირველი გამოცემა, თბილისი, 2007.

ბენიამინი, ვალტერ: ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა დ. დუმბაძემ, რედაქტორები: რ. ასათიანი და თ. ირემაძე, მეორე, განახლებული გამოცემა, თბილისი, 2007.

ბენიამინი, ვალტერ: ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა დ. დუმბაძემ, რედაქტორები: რ. ასათიანი და თ. ირემაძე, მესამე გამოცემა, თბილისი, 2008.

2. სპეციალური ლიტერატურა ვალტერ ბენიამინის შესახებ

2.1. ქართულენოვანი ლიტერატურა

დუმბაძე, დ.: მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა // ვალტერ ბენიამინი: ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა დ. დუმბაძემ, რედაქტორები: რ. ასათიანი და თ. ირემაძე, მესამე გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 113-115.

დუმბაძე, ს.: გამომცემლის წინასიტყვაობა // ვალტერ ბენიამინი: ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა დ. დუმბაძემ, რედაქტორები: რ. ასათიანი და თ. ირემაძე, მესამე გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 7-15.

დუმბაძე, ს.: წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის // ვალტერ ბენიამინი: ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. ისტორიის ცნების შესახებ, გერმანულიდან თარგმანა დ. დუმბაძემ, რედაქტორები: რ. ასათიანი და თ. ირემაძე, მესამე გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 16-17.

2.2. უცხოენოვანი გამოკვლევები

Adorno, Th. W.: Charakteristik Walter Benjamins, in: ders., Gesammelte Schriften, Bd. 10, Frankfurt a. M., 1974, S. 238-253.

Kramer, S.: Walter Benjamin zur Einführung, Hamburg, 2004.

Lindner, B. (Hrsg.): Benjamin-Handbuch. Leben – Werk – Wirkung, Stuttgart – Weimar, 2006.

Marcuse, H.: Nachwort, in: W. Benjamin, Zur Kritik der Gewalt und andere Aufsätze. Mit einem Nachwort von H. Marcuse, Frankfurt a. M., 1965, S. 97-107.

Naeher, J.: Walter Benjamins Allegorie-Begriff als Modell. Zur Konstitution philosophischer Literaturwissenschaft, Stuttgart, 1977.

Scholem, G.: Walter Benjamin – die Geschichte einer Freundschaft, Frankfurt a. M., 1975.

Scholem, G.: Walter Benjamin und sein Engel, hrsg. von R. Tiedemann, Frankfurt a. M., 1983.

Tiedemann, R.: Dialektik im Stillstand. Versuche zum Spätwerk Walter Benjamins, Frankfurt a. M., 1983.

Unsel, S. (Hrsg.): Zur Aktualität Walter Benjamins, Frankfurt a. M., 1972.

Walter Benjamin 1892 – 1940. Eine Ausstellung des Theodor W. Adorno Archivs Frankfurt am Main in Verbindung mit dem Deutschen Literaturarchiv Marbach am Neckar, bearbeitet von R. Tiedemann, Ch. Gödde und H. Lonitz, Marbacher Magazin 55/1990, Marbach am Neckar, ²1990.

3. დანარჩენი ლიტერატურა

ზაქარაძე, ლ.: გერმანული რომანტიზმი და ქართველი რომანტიკოსები, თბილისი, 2008.

თევზაძე, გ.: XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 2002.

ირემაძე, თ.: ფრიდრიხ ნიცშე. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“: ტექსტი და კონტექსტი, თბილისი, 2006.

Doktordissertation von Karl Marx (1841). Eingeleitet und bearbeitet von G. Mende, unter Mitwirkung von E. G. Schmidt, Friedrich-Schiller-Universität Jena, o. J.

Scholem, G.: Über einige Grundbegriffe des Judentums, Frankfurt a. M., 1970.

პირთა საძიებელი

ადორნო, გ. 44

ადორნო, თ. 6, 16, 21, 23, 42, 44, 45, 49,
50, 81

ასათიანი, რ. 18, 67, 70, 73

ბენიამინი, დ. 49

ბენიამინი, ე. 16

ბენიამინი, შ. რ. 15

ბლოხი, ე. 62, 85

ბოდლერი, შ. 32

ბრენტანო, კ. 36

ბრეხტი, ბ. 25, 39, 40

ბუბერი, მ. 30

გიოდე, ქ. 21, 44

გოეთე 28-30, 36

გრიმი, ვ. 36

გრიმი, ი. 36

გურლანდი, ჰ. 51, 52, 55, 56

დუმბაძე, დ. 6, 18, 67, 70, 73

დუმბაძე, ს. 6, 18

ვაილი, ფ. 42

ვუნეკენი, გ. 17

ზაქარაძე, ლ. 7, 60

თევზაძე, გ. 5, 6, 42, 44

ირემაძე, თ. 9, 18, 40, 63, 65-67, 70, 73, 75,
87, 91

კანტი, ი. 36, 59

კელერი, გ. 36

კელნერი, დ. 15, 26

კლეე, პ. 20, 80

კონი, ი. 26

კორნელიუსი, პ. 20-22

კრამერი, ს. 16, 17, 32

კრაკაუერი, ზ. 23

ლაცისი, ა. 24-28, 31, 34, 35

ლინდნერი, ბ. 44

ლიოვენთალი, ლ. 44

ლიხტენბერგი, გ. ქ. 36

ლონიტცი, პ. 21, 44

ლორთქიფანიძე, ვ. 9

ლუნაჩარსკი, ა. 29

მარკუზე, პ. 44

მარქსი, კ. 11, 45, 62

მარქს-შტაინშნაიდერი, კ. 39

მაუასი, დ. 53

მენდე, გ. 11

ნიცშე, ფ. 36, 63, 65, 66

ოფერბეკი, ფ. 36

პოლოკი, ფ. 44

პრუსტი, მ. 32

რაიხი, ბ. 31

რექსროტი, ტ. 35, 36

რიაზანოვი, დ. 43

რიკერტი, ჰ. 6, 45, 59

როზენცვაიგი, ფ. 62

სტალინი, ი. 71

ტიდემანი, რ. 21, 77

ფიხტე, ი. გ. 60, 61

ფრანკე, ა. 18

ფრანკო 54

ფრომი, ე. 44

შიონფლისი, პ. ე. 16

შლაიერმახერი, ფ. 36

შლეგელი, ფ. 36, 62

შმიდტი, ე. გ. 11

შოლემი, ა. 18

შოლემი, გ. 24, 26, 33, 37, 40, 71, 81

შულტცი, ჰ. 22

ხეოშვილი, გ. 7

ჰაინლე, ქ. ფ. 17, 18

ჰეგელი, გ. ვ. ფ. 11, 45, 81

ჰერბერტცი, რ. 18, 19

ჰესე, ქ. 6

ჰესელი, ფ. 32

ჰიოლდერლინი, ფ. 36

ჰიტლერი, ა. 71

ჰორკჰაიმერი, მ. 41-44, 49

About the author of the book:

Tengiz Iremadze, Professor, Doctor of Philosophy. Born in 1973. He graduated the Faculty of Philosophy and Sociology of Tbilisi State University in 1998. In 2003 he made his doctors degree in Philosophy at Ruhr University Bochum (Germany). He is Professor of Philosophy and Social Sciences of Grigol Robakidze University (Georgia). Since 2006 he is Head of the Department of Georgian and Foreign Philosophy of Savle Tsereteli Institute of Philosophy (Georgia). Prof. Iremadze is the author of several monographs in Georgian and German languages. His articles are published in Georgian, German, English and Russian languages. Tengiz Iremadze is the honored member of several philosophic-literary societies. The fields of his research are: Theoretical Philosophy, the History of Philosophy, Social Theories.